პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ГАЗЕТА ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 65 (18607) შაბათი, 19 მარტი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება ხელს შეუწყობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მიერ მეთერთმეტე ხუთწლედის შუაგული წლისათვის დასახულ ამოცანათა შესრულებას.

გაიმართა საუბარი

17 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო შეხვდა ლიბიის არაბთა სოციალისტური სახალხო ჯამაჰირიის საგარეო კავშირურთიერთობის სახალხო ბიუროს სახალხო კომიტეტის მდივანს ა. ა. ობეიდის.

საუბრის დროს განიხილეს ორივე მხარისათვის საინტერესო ზოგიერთი აქტუალური საერთაშორისო პრობლემა.

ორივე მხარემ ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა გააქტიურდეს ყველა სახელმწიფოს, დიდი თუ მცირე სახელმწიფოების თანამშრომლობა, რათა აღიკვეთოს ომის საფრთხე, შეწყდეს გამალებული შეიარაღება, თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპის დაცვის საფუძველზე შეიზღუდოს და შემცირდეს როგორც ბირთვული, ისე ჩვეულებრივი შეიარაღება. ა. ა. ობეიდიმ განაცხადა, რომ ლიბია დიდად აფასებს სსრ კავშირის როლს საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებაში. მთლიანად უმერს მხარს მის წინადადებას შეიარაღების შემცირებისა და გამალებული შეიარაღების შეწყვეტის შესახებ.

ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის განხილვისას ა. ა. გრომიკომ და ა. ა. ობეიდიმ აღნიშნეს, რომ ამ რეგიონში ლიბანისა და პალესტინის არაბი ხალხის წინააღმდეგ ისრაელის დანაშაულებრივი აგრესიის, აგრეთვე სირიის არაბთა რესპუბლიკის წინააღმდეგ განწყობილი სამხედრო პროვოკაციების შედეგად ამ რაიონში ვითარების გამწვავება საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობას. ამისათვის პასუხისმგებლობა აკისრია არა მარტო ისრაელს, არამედ ამერიკის შეერთებულ შტატებსაც.

აფრიკის კონტინენტზე შექმნილი ვითარების განხილვისას ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რაოდენ დიდია აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის როლი იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ აფრიკელი ხალხების ბრძოლაში, აგრეთვე გამოითქვა რწმენა, რომ აფრიკის ქვეყნები საკადრის პასუხს გასცემენ იმპერიალიზმის ხრიკებს, როგორიცა მიზანია გითიშონ აფრიკის ქვეყნების რიგები და ძირი გამოუთხარონ აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციას.

მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს მშვიდობისა და დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლის საქმეში მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების ამას წინათ დელში გამართული VII კონფერენციის მიერ შეტანილი წვლილი.

აზრთა გაზიარებამ დაადასტურა, რომ ერთმანეთს უახლოვდება და ემთხვევა სსრ კავშირისა და ლიბიის პოზიციები თანამედროვეობის ზოგიერთ აქტუალურ პრობლემაზე. ხაზგასმით აღინიშნა, რომ სსრ კავშირი და ლიბია მზად არიან კოორდინაცია გაუწიონ მეცადინეობას საერთაშორისო ასპარეზზე იმ საქმეში, რომ მოიგერიონ იმპერიალიზმის ხრიკები, გააძლიერონ ბრძოლა მშვიდობისა და განიარაღებისათვის, სოციალური პროგრესისა და ხალხთა თავისუფალი განვითარებისათვის.

18 მარტს კრემლში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ტიხონოვისა და ლიბიის არაბთა სოციალისტური სახალხო ჯამაჰირიის რევოლუციური ხელმძღვანელობის წევრის ა. ს. ჯელუდის დასკვნითი საუბარი.

შეხვედრის დროს მხარეებმა შეაჯამეს პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ და საბჭოთა კავშირ-ლიბიის თანამშრომლობის სხვა ასპექტებზე გამართული საუბრებისა და მოლაპარაკების შედეგები.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ ორი ქვეყნის ხელმძღვანელთა შეხვედრები, რომლებმაც რეგულარული ხასიათი შეიძინეს, ემსახურება როგორც ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას, ისე მშვიდობისათვის, ომის საშიშროების აღმოფხვრისათვის, დაძაბულობის შენელების მიღწევისათვის ბრძოლის მიზნების განხორციელებას.

დიდი ყურადღება დაეთმო ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობას. მხარეებმა მკაცრად დაგმეს ლიბანისა და პალესტინელი არაბი ხალხის წინააღმდეგ ისრაელის დანაშაულებრივი აგრესია, რომელიც გრძელდება, განუწყვეტელი სამხედრო პროვოკაციები სირიის არაბთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. ყოველივე ამისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება არა მარტო ისრაელს, არამედ ამერიკის შეერთებულ შტატებსაც.

დელეგაცია გაემგზავრა

18 მარტს საბჭოთა კავშირიდან გაემგზავრა ლიბიის არაბთა სოციალისტური სახალხო ჯამაჰირიის დელეგაცია ჯამაჰირიის რევოლუციური ხელმძღვანელობის წევრის ა. ს. ჯელუდის მეთაურობით.

აეროდრომზე დელეგაციის გაცილებულად მოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ტიხონოვი, სხვა ოფიციალური პირნი. (საკვლევი).

მისალოცი დეპეშა

ამხანაგებმა ტოდორ ჟივკოვმა და გრიშა ფილიპოვმა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს, ბულგარელი ხალხის სახელით სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოუგზავნეს დეპეშა, რომელშიც გულითადად მიულოცეს და ყოველივე საუკეთესო უსურვეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების 35 წლისთავის გამო.

გავაჩაღოთ ორგანიზებული შრომა მინდვრად!

ზაზაფხულის პირველი თვე როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში უამინდობით დაინყო, თითქოს ზამთარს მთელი თავისი ძალები ამ დროისათვის შემოენახოს. აღმოსავლეთში გაზაფხულის დადგომამდე ძალზე მშრალი ამინდები იყო, დასავლეთში კი ხანდახან თოვდა. მარტის პირველ რიცხვებში მთასა და ბარს გრიგალისებურმა ქარმა გადაუარა და დიდი ზიანი მიაყენა ბაღ-ვენახებს, განსაკუთრებით კი საშემოდგომო ნათესებსა და ციტრუსის ბაღებს.

უამინდობის გამო თითქმის ერთი თვით დაგვიანდა სოფლად საგაზაფხულო სამუშაოები. ეს უპირველესად ითქმის ბაღახის, ზესუმზირასა და ბაქრის ჭარხლის თესვაზე. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაპყროთ საგაზაფხულო სამუშაოთა შემჭიდროებულ ვადებში და მაღალხარისხოვნად შესრულებას, უამინდობით გამონვეული ჩამორჩენის დაძლევას.

სინოპტიკოსების ვარაუდით, გაზაფხული მალე დაიბრუნებს თავის უფლებებს. ამიტომ ყველა საზოგადოებრივი მეურნეობა მზად უნდა იყოს, რომ დათბობისთანავე მთელი ძალით გაშალონ მინდვრის სამუშაოები. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა დროულად მოუმზადა და მეურნეობებს გადასცა იმ ფართობების „პასპორტები", სადაც საშემოდგომო მარცვლეული კულტურები ხელმეორედ უნდა დათესოს, ცალკეულ რაიონებში ხელახლა დასათესია ათასობით ჰექტარი. ზოგან შესაძლებელია მეორეჯერ ხვნა არ დასჭირდეთ და თესვას შეუდგნენ, მაგრამ ეს ხერხი ფრთხილად უნდა გამოვიყენოთ, რადგან, სადაც ნიადაგი დასაარევლიანებულია, იქ კულტივაცია საჭიროა. ამას განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდონ საგარეჯოს, გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, კასპის და სხვა რაიონების პარტიული და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები, მეურნეობათა სპეციალისტები, რადგან აქ დასახელებული რაიონების მინდვრები ზამთრის გვალვამ და გრიგალისებურმა ქარებმა ყველაზე მეტად დაახიანა.

ყველა მეურნისათვის კარგად არის ცნობილი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სასუქების დროულ და წესიერ გამოყენებას. შარშანდელთან შედარებით წელს მეტი ორგანული სასუქია შეტანილი ნიადაგში, მაგრამ ზოგან ამ საქმეს სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. მინდვრად ორგანული სასუქების შეტანაში ჩამორჩნენ წითელწყაროს, მარნეულის, დუშეთის, ბოგდანოვკის, თეთრი წყაროს და ცაგერის რაიონების მთელი რიგი საზოგადოებრივი მეურნეობები. მათ ფერმებთან კი სასუქი უხვადაა. ეს მდგომარეობა მალე უნდა გამოსწორდეს. ნიადაგში მინერალური სასუქების შეტანაც უამინდობის გამო შეფერხდა. მაგალითად, აზოტიანი სასუქები 134 ათასიდან მხოლოდ 100 ათას ჰექტარზეა შეტანილი. ეს სამუშაო უნდა დაჩქარდეს, სადაც ტექნიკას ვერ გამოვიყენებთ იქ სასოფლო-სამეურნეო ავიაციას უნდა მივმართოთ. წლობით შეძენილი გამოცდილებით მემინდვრეებმა კარგად იციან, თუ რა ეფექტიანია ეს ხერხი. ამჯერადაც ავიატორებმა მთელი გულისხმიერება უნდა გამოიჩინონ და დაეხმარონ მემინდვრეებს.

უამინდობის გამო საგაზაფხულო სამუშაოთა ჩამორჩენის აღკვეთა სოფლის მშრომელებისაგან მოითხოვს მობილიზებულ, ორგანიზებულ შრომას. მათ ამ საქმეში ყველა, ვინც კი დაკავშირებულია სოფლის მეურნეობასთან, მხარში უნდა ამოუდგეს. ყველაზე ძნელ მდგომარეობაში მაინც მემინდვრეები არიან, რადგან აგროვადების დარღვევით თესვა უარყოფით გავლენას მოახდენს მოსავლიანობაზე. ამიტომ მხვნელ-მთესველთა საშური საქმე ყველამ გულთან უნდა მიიტანოს და რადაც უნდა დაჯდეს დროულად დაითესოს საგაზაფხულო კულტურები.

თესვა რომ უმანქანოდ შეუძლებელია, ეს ახლა უდავო ჭეშმარიტებაა. მანქანებს საწვავი და საპოხი მასალები რომ სჭირდება, ესეც ყველას კარგად მოეხსენება. თუ საწვავი არ არის, თესვა შეფერხდება და დაგვიანებული ნათესიდან კი კარგ მოსავალს არ უნდა მოველოდეთ. ეს ყველამ კარგად იცის, მაგრამ ზოგმა დაუდევრობა და უყაირათობა გამოიჩინა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საგაზაფხულო თესვისათვის მზადებისა და მოწყობის რესპუბლიკური შტაბის სხდომებზე საგანგებოდ რამდენიმეჯერ იმსჯელეს ხვნა-თესვის აგროვადებში შეუფერხებლად ჩატარების შესახებ. რესპუბლიკური შტაბის სხდომებზე აღინიშნა, რომ მთელი რიგი რაიონების მხვნელ-მთესველებს აქვთ საკმაო საწვავი და საპოხი მასალები. მაგრამ მარნეულის, მცხეთის, ნნორის, გარდაბნის და ტყიბულის ნავთობბაზებში ყველაფერი რიგზე როდია. ნავთობბაზების ხელმძღვანელები ზემდგომმა ორგანოებმა დროულად და სერიოზულად გააფრთხილეს რომ საწვავითა და საპოხი მასალებით უწინარესად კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უნდა მოამარაგონ, რომ არც ერთი ნუთით არ შეფერხდეს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები. მარნეულის ნავთობბაზამ სოფლის მეურნეობის 47 ორგანიზაციიდან 33-ს ფონდით კუთვნილი საწვავი არ მიაწოდა, ხოლო 8 ორგანიზაციას ფონდის გადამეტებით მისცა. რა თქმა უნდა, წლევანდელი წლის დასაწყისშივე მთელ რიგ საზოგადოებრივ მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები შეფერხდა, ხელიდან გაუშვეს ხელსაყრელი ამინდები. ნნორის ნავთობბაზაში კი სხვა „სიკეთესთან" ერთად მიშვებულია ნავთობპროდუქტების აღრიცხვა და ანგარიშიანობა. ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტის ვალია რესურსები მაქსიმალურად გამოიყენონ, საქმე ისე მოაწყონ, რომ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები არ შეფერხდეს, ნესების ზუსტად დაცვით და აგროვადებში დამთავრდეს ყველა სახის სამუშაო, რომ მეთერთმეტე ხუთწლედის შუაგული წლის დავალებანი გადამეტებით შესრულდეს.

ბარის რაიონებში უთოვლო ზამთარმა ნიადაგი გამოაშრო. მთელი რიგი საზოგადოებრივი მეურნეობების ხელმძღვანელებმა, სპეციალისტებმა დროზე აუღეს ალღო მდგომარეობას და ზამთარში მორწყეს საშემოდგომო ნათესები, ზოგან საქმე წინ წაიგდეს — ერთნლოვანი ბალახების თესვა დაიწყეს, მაგრამ მარტში, როცა თესვა მთელი ძალით უნდა გაჩაღებულიყო, მოულოდნელად მოთოვა და სამუშაოები შეჩერდა. კარგმა სამეურნეო ხელმძღვანელებმა ეს დრო ტექნიკის მოსანესრიგებლად, თესლის მოსამარაგებლად და გასანმენდად გამოიყენეს და გამოდარებისთანავე ერთიანი ძალით გაჩაღდა საგაზაფხულო სამუშაოები. შესაძლებელია მარტის დარჩენილ დღეებში და აპრილში ამინდი ზოგან ცვალებადი იყოს, მაგრამ ამან სოფლად დაბნეულობა არ უნდა გამოიწვიოს. პირიქით, უამინდობას ორგანიზებული, დისციპლინიანი შრომა უნდა დაუპირისპირთ, ყოველი ხელსაყრელი დღე და ხაათი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, რომ თესვა და სხვა საგაზაფხულო სამუშაოები მაღალხარისხოვნად და აგროვადებში დავამთავროთ.

ხიმინდის თესვა-მოყვანის საქმეს ნელს განსაკუთრებული მზრუნველობით უნდა მოვეკიდოთ. სიმინდი მარცვლეულისა და ფურაჟის წარმოების გადიდების დიდი რეზერვია. ვიდრე სიმინდის თესვა დაიწყებოდეს, რედაქციამ ადგილზე შეისწავლა საკითხი იმის შესახებ, თუ გალის რაიონში მესიმინდეებმა რატომ დათმეს მოწინავის პოზიციები, ხახელგანთქმული ოქუმელი მესიმინდის როლი ქვაჩახიას მოწინავეთა სკოლამ რატომ შეწყვიტა არსებობა. ამის შესახებ „კომუნისტის" დღევანდელ ნომერში იბეჭდება ვრცელი კორესპონდენცია, რომელშიც ლაპარაკია გალელ მესიმინდეთა ახლაწყლელ და მომავალი ამოცანებზე. რესპუბლიკის მესიმინდეებმა გალელთა მაგალითი, აგრეთვე აბაშის რაიონის მექანიზატორთა გამოცდილება, ნარმოებაში უნდა დანერგონ, რომ წელსვე მკვეთრად გაადიდონ სიმინდის მარცვლისა და მწვანე მახის მოსავლიანობა.

ორგანიზებული შრომა უნდა გავაჩაღოთ მინდვრად, მოუხნავი და დაუთესავი არ უნდა დავტოვოთ არც ერთი ჰექტარი მინა, მოსავლის სიუხვის სამსახურში უნდა ჩავაყენოთ ჩვენს ხელთ არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, მეცნიერების მიღწევები და მოწინავეთა გამოცდილება. თესვის პირველი დღეებიდანვე უნდა გავაჩაღოთ ნამდვილი, მიზანსნრაფული სოციალისტური შეჯიბრება, რომელსაც სათავეში უნდა ჩაუდგნენ სასოფლო რაიკომების სოფლის მეურნეობის განყოფილებები, სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებები. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ თესვა და სხვა საგაზაფხულო სამუშაოები დროზე დავამთავროთ, სანიმუშოდ მოვუაროთ ნათესებს და უხვი მოსავალი მოვინიოთ. მემინდვრეთა მატერიალური და მორალური წახალისებისათვის კვლავაც ვეძიოთ საქმისათვის სასარგებლო ფორმები. აი, რა არის დღეს მთავარი სოფლად!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავი რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა თავიანთ დადგენილებაში აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის მშრომელები თავდადებით მუშაობენ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მომსახურების სფეროს, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკები, რომელნიც დადგნენ რუსი და ქართველი ხალხების ძმობისა და მონოლითური ერთიანობის ისტორიაში ღირსშესანიშნავი თარიღის — გეორგიევსკის ტრაქტატის ღირსეული შეხვედრის შრომითს ვახტაზე, მთელ თავიანთ მეცადინეობას ახმარენ მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წლის გეგმებისა და ვალდებულებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, შეგნებული დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას, ჩვენი ქვეყნის ყველა ერთან და ეროვნებასთან ურღვევი მეგობრობის, თანამშრომლობისა და ამხანაგური ურთიერთდახმარების დამკვიდრებას.

ანიშნეს რა უპირველეს მნიშვნელობას იმას, რომ რესპუბლიკის მშრომელებს ჩაუნერგონ ჩვენი დიადი თანამეგობრობის, სხვა ერებთან და ეროვნებებთან მეგობრობის გრძნობა, ღირსეულად შეხვდნენ რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის პირველი მანიფესტის ხელმოწერის 200 წლისთავს, აამაღლონ სოციალისტური შეჯიბრების როლი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამოცანების გადაწყვეტაში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალეს საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს, სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისიებს, დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტებს, ადგილობრივ პარტიულ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სამეურნეო ხელმძღვანელებს სოციალისტური შეჯიბრება წარმართონ რესპუბლიკის საწარმოო ძალების შემდგომი განვითარების არსებულ დიდ შესაძლებლობათა უფრო სრულად გამოყენებისათვის;

განაზორციელონ გადაუდებელი ღონისძიებანი, რათა დაძლიონ მთელი რიგი საწარმოების ჩამორჩენა პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის, სახელშეკრულებო მიწოდებების, შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებაში. გააუმჯობესონ საქმის ვითარება კაპიტალურ მშენებლობაში, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისა და ხაზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის საქმეში, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების სხვა სფეროებში. მეტი ყურადღება დაუთმონ დაზოგვისა და ყაირათიანობის, შეგნებული სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების საკითხებს;

უზრუნველყონ რესპუბლიკური სოციალისტურ შეჯიბრებაში მუშათა, კოლმეურნეთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, სპეციალისტთა და მოსამსახურეთა, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შრომითი კოლექტივების, რაიონების, ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მშრომელთა აქტიური მონაწილეობა;

მიმდინარე წლის მარტ-აპრილში განახორციელონ საგირო ღონისძიებანი, რათა საქართველოს სსრ და რუსეთის სფსრ, აგრეთვე სხვა მოკავშირე რესპუბლიკების შრომითს კოლექტივებს, ცალკეულ ქალაქებსა და რაიონებს შორის დაიდგას სოციალისტური შეჯიბრების ზელშეკრულებანი შრომითი მეტოქეობის გეოგრაფიის მაქსიმალური გაფართოების გათვალისწინებით.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილი რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შეჯამდეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლის 10 თვის გეგმის შესრულების შედეგებით 1983 წლისა და ხუთწლედის დამდეგიდან დავალებათა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა მოსალოდნელი შესრულების გათვალისწინებით.

სამრეწველო, საწარმოო, სამეცნიერო-საწარმოო, სამეურნეოთაშორისო, აგროსამრეწველო და სხვა გაერთიანებებმა, მათი საწარმოო ერთეულებმა, საწარმოებმა, მშენებლობებმა, კოლმეურნეობებმა, სახბოთა მეურნეობებმა, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საკონსტრუქტორო და სხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და 1983 წლის 15 ნოემბრისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს წარუდგინონ მახალები და წინადადებანი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით გამარჯვებულთა დაჯილდოების შესახებ.

რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნის შესახებ წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს შეიქმნა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიაში 1983 წლის 25 ნოემბრამდე.

სამინისტროებმა და უწყებებმა, დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტებმა ნება ეძლევათ მიანიჭონ სამინისტროების (უწყებების) და დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტების გარდამავალი წითელი დროშები და ფულადი პრემიები. შეჯიბრებაში გამარჯვებულნი — ბრიგადების, უბნების, საამქროების, რგოლების, ფერმების, განყოფილებების კოლექტივები, აგრეთვე მუშები, კოლმეურნეები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, სპეციალისტები და მოსამსახურეები ჯილდოდებიან სამინისტროების (უწყებების) და დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტების საპატიო ვიმპელებით, დიპლომებით, სამახსოვრო საჩუქრებით ან ფულადი პრემიებით.

გადაწყვეტილია 1983 წლის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგები შეჯამდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეჯიბრებაში ჩაბმულ ახლ რესპუბლიკებს, ავტონომიურ ოლქს, ქალაქებს, რაიონებს, სამინისტროებსა და უწყებებს შორის, ამასთან გათვალისწინებულ იქნეს რეგიონებში სახელმწიფო, შრომის, ფინანსური, საწარმოო დისციპლინის, საზოგადოებრივი წესრიგის მდგომარეობა, შემცირების მიზნით გეგმების კორექტირების დაუშვებლობა, აგრეთვე შრომისა და საწარმოო დისციპლინის მდგომარეობა სამინისტროებსა და უწყებებში.

რესპუბლიკის მახარბრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებს წინადადება მიეცათ გააძლიერონ მუშაობა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაჩაღებული შეჯიბრების ქმედითობის უზრუნველსაყოფად, ფართოდ გააშუქონ საქართველოს და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კოლექტივების, ცალკეული რეგიონების შრომითი მეტოქეობის მიმდინარეობა, ამასთან განსაკუთრებული მნიშვნელობა მიაქციონ საყურადღებო თაოსნობათა გავრცელებასა და დანერგვას, გამოავლინონ ნაკლოვანებანი სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციასა და ხელმძღვანელობაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება ხელს შეუწყობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მიერ მეთერთმეტე ხუთწლედის შუაგული წლისათვის დასახულ ამოცანათა შესრულებას. (საქინფორმი).

გამოჩენილი გალელების წარმატება თბილისში

თბილისელები ორ დღეს მხურვალედ უკრავდნენ ტაშს გამოჩენილ საბჭოთა ბალერინას, სსრ კავშირის სახალხო არტისტს, ლენინური პრემიის ლაურეატს მაია პლისეცკაიას. იგი თავის კოლეგებთან — სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტებთან, რუსეთის სფსრ დამსახურებულ არტისტებთან ბ. ეფიმოვთან, ს. რადჩენკოსთან და ვ. ბარიკინთან ერთად გამოვიდა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე გუსტავ მალერის „ვარდის ჭნობასა" და ბიზე-შჩედრინის „კარმენ-სიუიტაში". მაყურებლებმა ღირსეულად დააფასეს სახელგანთქმულ მოცეკვავეთა ხელოვნება.

სპექტაკლის შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე და მასთან ერთად ამხანაგები პ. გ. გილაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ს. ე. ხაბეიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. შ. ჯანბერიძე შეხვდნენ მ. პლისეცკაიას, სახელმწიფო დიდი თეატრის სხვა სოლისტებს. ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ გულთბილად მიულოცა აღიარებულ ბალერინას თბილისში წარმატებით გამოსვლა, მადლობა გადაუხადა მას და სსრ კავშირის დიდი თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის სხვა წარმომადგენლებს მაღალ ხელოვნებასთან შეხვედრით მინიჭებული სიხარულისათვის, უსურვა ახალი შემოქმედებითი მიღწევები საბჭოთა ხელოვნების საკეთილდღეოდ. (საქინფორმი).

„უკუკავშირის" წყარო

წარმატებები, რომლებსაც გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში უკანასკნელ ხანს განუხრელად აღწევს თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების კოლექტივი, მის საამქროებში შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმის ფართოდ დანერგვასთან არის დაკავშირებული. მთლიანად საწარმოში ეს პროგრესული ფორმა ამჟამად გავრცელებულია მუშების 54 პროცენტში, ოღონ ამ ღონისძიებამ ეფექტი ჯერ-ჯერობით ვერ მოიტანა. ეს ამ ბრიგადებში ეკონომიკური ანგარიშის ორგანიზაციის ფორმალურ ხასიათზე მეტყველებს. ეს ფორმა ამ ბრიგადებში ჯერ-ჯერობით ვერ ასრულებს ეკონომიკური ანგარიშის ფუნქციებს,

მაღვაკსორციელოთ სკკკ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის კლენუმის გადაწყვეტილებანი!

მიზანი და მოვალეობის გრძნობა

პარტიის რაიკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების საზრუნავი

სკკკ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად პარტიის სოფლის რაიკომებში შექმნილმა სოფლის მეურნეობის განყოფილებებმა უნდა გააძლიერონ პარტიული გავლენა რაიონულ რგოლში, უზრუნველყონ აგროსამრეწველო გაერთიანებების უნარიანი პოლიტიკური ხელმძღვანელობა.

საქინფორმის კორესპონდენტებმა სთხოვეს პარტიის საგარეჯოს რაიკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგეს პ. ი. თო-ფეშაშვილს გაეშუქებინა პარტიული კომიტეტების ამ ახალი ქვეგანყოფის პირველი ნაბიჯები.

კითხვა: რით დაიწყო თავისი საქმიანობა ახალმა განყოფილებამ?

პასუხი: ჩვენს უპირველეს ამოცანად მიგვაჩნია დავრაზმოთ რაიონის კომუნისტები, ყველა მშრომელი პარტიის XXVI ყრილობის, სკკკ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა, სასურსათო პროგრამის შესასრულებლად. ჩვენს განყოფილებას, ისევე როგორც რაიკომის სხვა განყოფილებებს, ამ ამოცანის გადაწყვეტის გზად მიაჩნია სოფლის მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური, მეთოდების გაუმჯობესება, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მებრძოლურობის ამაღლება, შრომითის კოლექტივებში ალმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება, მოწინავე გამოცდილების შესწავლა, განზოგადება და პრაქტიკაში დანერგვა.

საგარეჯოს რაიონი მრავალდარგოვანი რაიონია. მეცხოველეობასთან ერთად ვავითარებთ მარცვლეულის წარმოებას, მევენახეობას, მებოსტნეობას. გვაქვს საკმაოდ დიდი გადამმუშავებელი საწარმოები.

რაიონის მშრომელთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა არა მარტო უზრუნველყოფა რაიონის მცხოვრებნი მეცხოველეობის პროდუქციით, არამედ მეტი წვლილი შეიტანონ თბილისისა და რუსთავის მცხოვრებთა მომარაგებაშიც. ეს დარგი გადაგვყავს ინდუსტრიულ რელსებზე: შევქმენით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრისა და ღორის მოზარდეულის სუქებისა და გამოზრდის მთელი რიგი დიდი სპეციალიზებული კომპლექსები და სამეურნეობათაშორისო გაერთიანებანი.

განათლებით ზოოტექნიკოსი ვარ, ამან საშუალება მომცა აგროსამრეწველო გაერთიანების სპეციალისტებთან ერთად შედარებით სწრაფად შემესწავლა საქმის ვითარება კომპლექსებსა და ფერმებში, მეურნეობათა ხელმძღვანელების, კომუნისტების ყურადღება მიმეპყრო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხისათვის, როგორიც არის პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფა. სოფლის მეურნეობის განყოფილების მუშაკთა და სხვა აქტივისტთა მონაწილეობით მოვახდინეთ ძროხების პასპორტიზაცია, შევიმუშავეთ ჯოგის ჯიშობრივი შემადგენლობის, ჩასაყენებელი მოზარდეულის გაუმჯობესების პროგრამა. ამ მუშაობის შედეგები განვიხილეთ პარტიის რაიკომის ბიუროს სხდომაზე. ახლა განყოფილება კონტროლს უწევს, თუ როგორ უზრუნველყოფენ პირველადი პარტორგანიზაციები პარტიის რაიკომის მიერ დასახულ ღონისძიებათა შესრულებას, იღებენ გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის. ნაკლოვანებანი კი ცოტა როდი გვაქვს. საჭიროა უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ ძველი ფერმები, შემოვიღოთ ნაკვებ კულტურათა თესლბრუნვა.

სოფლის მეურნეობის განყოფილების რეკომენდაციით განვამტკიცეთ მეცხოველეთა კადრები. გავადიდეთ მათ შორის პარტიული ფენა.

საგარეჯოს მერძევეობის კომპლექსი დიდხანს ჩამორჩებოდა. ახლა მის ხელმძღვანელად დავაწინაურეთ ახალგაზრდა სპეციალისტი, კომუნისტი გ. ორჯონიკიძე. საგარეჯოს მეფრინველეობის ფაბრიკაში მთავარ ზოოტექნიკოსად დაინიშნა გ. გოგიტაშვილი, გორიგიწმინდის ღორის სასუქებელ კომპლექსს ხელმძღვანელობს ა. ახელაშვილი.

საქმის მცოდნე წინამძღოლები უნარიანად რაზმავენ შრომითს კოლექტივებს წარმოებაში წარმატებების მიღწევისათვის. საგარეჯოელებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გასული წლის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი.

კითხვა: განყოფილების მუშაობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად თქვენ დაასახელეთ მოწინავე გამოცდილების შესწავლა, განზოგადება და დანერგვა... რა მუშაობას ეწევით ამ მიმართულებით?

პასუხი: რაიონში ბევრია თავისი საქმის ნამდვილი ოსტატი — მხვნელ-მთესველები, მეცხოველეები, მევენახეები, მებოსტნეები. ჩვენ ვცდილობთ მათი მუშაობის, მეურნეობის გაძღოლის გამოცდილება საყოველთაო კუთვნილებად გადავაქციოთ. დავასახელებ ასეთ მაგალითს. ჩვენს პირობებში ნიადაგების ნაყოფიერების შემცირების ერთ-ერთი მიზეზია ქარისმიერი ეროზია. ამ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში საუკეთესო შედეგები მოგვცა სპეციალურმა ეროზიისსაწინააღმდეგო გუთნებმა, რომლებიც სოფელ კრასნოგორკის კოლმეურნეობაში გამოვიყენეთ. ამის შედეგად აქ თითოეულ ჰექტარზე მოვიწიეთ შვიდი ცენტნერით მეტი მარცვლეული, ვიდრე საშუალოდ რაიონში. კოლმეურნეობის სათავეში უდგას გამოცდილი მხვნელ-მთესველი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნადეჟდა ივანეს ასული რემიზოვა.

სოფლის მეურნეობის განყოფილებამ სპეციალისტთა დახმარებით გააანალიზა ნიადაგის დამუშავების ახალი მეთოდის ეფექტიანობა. მოამზადა განზოგადებული მასალა რაიკომის ბიუროსათვის. მოწინავე გამოცდილება რეკომენდებულია ფართო გავრცელებისათვის და ამან საგრძნობი ეფექტი მოგვცა. ნიადაგის ქარისმიერი ეროზია არსებითად შეამცირდა. საქსახსოფლტექნიკის რაიონულ გაერთიანებას წინადადება მიეცა უზრუნველყოს მეურნეობებში არსებული ტექნიკა სათადარიგო ნაწილებით, ხოლო ბრტყელდასპრელი გუთნებით — ყველა მეურნეობა, სადაც მათი გამოყენება ეფექტიანია.

პარტიის რაიკომმა შეიმუშავა და გულმოდგინედ ახორციელებს მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის პროგრამას. მოეწყო მოწინავე მწველავთა და მექანიზატორთა რაიონული შეკრებები. გამოიცა პლაკატი, რომელიც ასახავს მწველავის ვალერიან უსტიაშვილის მიღწევებს.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმაში, რომლის გამგეა გრიგოლ კაპატაძვილი, შეიქმნა მოწინავე გამოცდილების სკოლა. ამ ფერმაში უკვე დიდი ხანია დაავიწყდათ, რა არის შრომის დისციპლინის დარღვევა.

ფართო პოპულარიზაციას ვუწევთ აგრეთვე გორიგიწმინდის ღორის სასუქებელი კომპლექსის გამოცდილებას. წარსულში ჩამორჩენილი მეურნეობა მოწინავეთა რიგებში ჩადგა. უკვე შარშან დაგეგმილი 210 ათასი მანეთი მოგების ნაცვლად ამ კომპლექსმა მიიღო 570 ათასი მანეთი მოგება. თითოეულმა მუშამ აწარმოვა ერთ-ნახევარჯერ მეტი პროდუქცია, ვიდრე დავალებით იყო გათვალისწინებული.

მეცხოველეობაში კარგი გამოდგა შრომის რგოლური ორგანიზაცია. ჩვენ გულდასმით ვსწავლობთ მწველავთა ორცვლიანი მუშაობის გამოცდილებას.

უკვე რამდენიმე წელია ჩვენში შრომის ანაზღაურების აკორდულ-პრემიული სისტემით მუშაობენ უგანწესო მექანიზებული რგოლები. ეს ახალი საქმეა და მას ყურადღებით ვაკვირდებით.

კითხვა: აქვს თუ არა განყოფილებას მუდმივი კონტაქტები აგროსამრეწველო გაერთიანების მუშაკებთან?

პასუხი: დიახ, ჩვენი აგროსამრეწველო გაერთიანება გულმოდგინედ მუშაობს თითოეული პეტერატორ მიწის უკუგების ამაღლებისათვის. მის სპეციალისტებთან ერთად ჩვენც ღრმად ვწვდებით ამ საქმეს. მოდი და ნუ ჩასწვდები. მაგალითად, საგარეჯოსა და გორიგიწმინდის საბჭოთა მეურნეობებში, სოფელ კაკაბეთის კოლმეურნეობაში ცალკეულ ფართობებზე შარშან მოვიწიეთ ყველაზე მცირე მოსავალი. გამოირკვა, რომ ამ ფართობებზე ხორბლსა და ქერს ზედიზედ 5-6 წელია თესავენ. რა თქმა უნდა, ეს დაუშვებელია. და ამიტომ დგება რაიონის მეურნეობათა პირობების შესაბამისად თესლბრუნვის შემუშავებისა და განხორციელების საკითხი. უამისოდ ამაოა ლაპარაკი მოსავლიანობის გადიდებაზე.

ჩვენმა განყოფილებამ რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების სპეციალისტებთან ერთად სთხოვა საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტს რაიონისათვის შემუშაოს თესლბრუნვის ოპტიმალური სქემა. მეცნიერები მხურვალედ გამოეხმაურნენ ჩვენს თხოვნას.

პარტიის რაიკომთან შეიქმნა წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის საკოორდინაციო საბჭო.

კითხვა: თქვენ თქვით, რომ საჭიროა ამაღლდეს პირველადი პარტორგანიზაციების მებრძოლურობა, გაძლიერდეს ალმზრდელობითი მუშაობა შრომითს კოლექტივებში. რა კეთდება ამ დარგში?

პასუხი: ამას მოგვიწოდებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამსწორნანდელი წერილი: მასში ნათქვამია, რომ პირველადი პარტორგანიზაციების შემდგომი განმტკიცება, მათი როლის, გავლენის, მებრძოლურობის ამაღლება ის ძირითადი რგოლია, რომელიც უზრუნველყოფს რესპუბლიკის წინაშე დასახული რთული და პასუხსაგები ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას. ყველა პირველადს პარტორგანიზაციაში იანვარ-თებერვალში გაიმართა ღია პარტიული კრებები, რომლებზეც განხილულ შრომის დისციპლინის განმტკიცებაში კომუნისტთა როლის ამაღლების საკითხი. სოფელ პატარძეულის კომუნისტთა თაოსნობით მოეწყო სოფლის ყრილობები, რომლებზეც გადაჭრით დაგმეს მუქთახორები, ლოთები, უხეირო მუშაკები, ხელმოცდა ადამიანები. პარტიული მუშაობის ქმედითობა უნდა დაეტყოს მეურნეობრობის ყველა დარგს.

განყოფილების მუშაობის გეგმით გათვალისწინებული გვაქვს რაიკომის ბიუროს სხდომაზე განვიხილოთ საკითხი, თუ როგორ გავაკეთებიროთ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის კომისიების მუშაობა.

ჩვენ ისიც გვაინტერესებს, თუ როგორ იყენებს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება თავის ცენტრალიზებულ ფონდებს სოფლად სოციალურ-კულტურული მშენებლობისათვის, მექანიზატორთა კადრების მომზადებისათვის.

დ. ბიწაძე,
მ. ტრასკუნოვი.

იდეოლოგიურ მუშაკთა თათბირი

მოსკოვში გაიმართა იდეოლოგიურ მუშაკთა საკავშირო თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო, საოლქო კომიტეტების მდივნები, მთელი რიგი სამინისტროების, უწყებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებების, შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელები.

მოხსენება „სრულვყოთ იდეოლოგიური, საგიგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობა“ გააკეთა სკკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ვ. ზიმიანინმა.

თათბირზე აღინიშნა, რომ პარტიული კომიტეტები ახორციელებენ იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის სრულყოფის ღონისძიებებს სკკკ XXVI ყრილობის, სკკკ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, ამ პლენუმზე სკკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის სიტყვაში, მოხსენებაში „სსრ კავშირის 60 წელი“, სტატიაში — „კარლ მარქსის მოძღვრება და სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის ზოგიერთი საკითხი“ — ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად.

თათბირის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება, წამოაყენეს იდეოლოგიური, პოლიტიკურ-ალმზრდელობითი მუშაობის შინაარსის გაღრმავებისა და მისი ქმედითობის გაძლიერების მთელი რიგი წინადადებანი.

გაანვაკსორციელოთ სკკკ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის კლენუმის გადაწყვეტილებანი!

სიმინდი რომ სიმინდოობდეს...

● უხვად ვაწარმოოთ მარცვლეული ● აღვადგინოთ ჩოქოლი ქვაჩახიას მესიმინდეთა სკოლა ● ვინ მოიპოვებს ნოვატორი მესიმინდის გარდამავალ თასს და შესაბამისი საჩუქარს?

სიმინდი ძვირფასი მარცვლეული კულტურა რომ არის, ამას მტკიცება რად უნდა. მისი სიკეთე ქართველი გლეხკაცისათვის ოდითგანვე იყო ცნობილი, ამიტომ არ აკლდა მოვლა-პატრონობას და მოსავალიც უხვი იყო. იგი საუკეთესო სურსათიც იყო და საქონლის, ღორის, ფრინველის მთავარი საკვებიც. ამიტომ გამრჯე გლეხკაცს ბეღელში წლიდან წლამდე უხვად ჰქონდა თავის თვისაც და საფურაჟიდაც. სიმინდის მარცვლის უხვი მოსავლის მიღებით ბევრმა დაიშვენა მკერდი გმირის ოქროს ვარსკვლავით.

ასე იყო ერთ დროს მესიმინდეობით სახელგანთქმულ გალის რაიონშიაც. მარტო ვმირი ნოვატორი მესიმინდის ჩოქოლი ქვაჩახიის სახელი გახსენება რად ღირს. მან კარგად იცოდა ბრიგადის ყოველ ჰექტარზე რამდენი ძირი სიმინდი უნდა ყოფილიყო. იგი თვითნასწავლი აგრონომიც იყო. იცოდა რამდენი ცენტნერი სუფთა მარცვალი უნდა მიეღო. ეს უბრალო ანგარიში როდი იყო. ნოვატორი მესიმინდე ზუსტად ითვალისწინებდა როდის რამდენი ორგანული თუ მინერალური სასუქი უნდა შეეტანა ნიადაგში, როდის უნდა გაემარგლა და შემდეგაც რამდენჯერ მიეშველებინა თოხი, რომ მოსავალი უხვი ყოფილიყო. ამიტომაც დაიმსახურა ჩოქოლი ქვაჩახიამ სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა და სოციალისტური შრომის გმირობა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ჩოქოლი ქვაჩახიას სახელობის მესიმინდეთა სკოლაში არა მარტო ადგილობრივი მესიმინდეები სწავლობდნენ სიმინდის უხვი მოსავლის მიღების ქვაჩახიასეულ ხერხებსა და მეთოდებს, არამედ ოქუმში ამ მეთოდის შესასწავლად ჩამოდიოდნენ რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონიდან. უფრო მეტიც — ნოვატორი მესიმინდე მიწვეული იყო ლექციების წასაკითხად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში და ინტერესით აცნობდა სტუდენტებს თავისი მუშაობის დიდ გამოცდილებას. და რაოდენ დასანანია, რომ ჩოქოლი ქვაჩახიას მესიმინდეთა სკოლა აღარ არის მის მშობლიურ რაიონში.

დღეს ჩვენ გვინდა მკითხველს მოვუთხროთ იმის შესახებ, თუ როგორ დაივიწყეს გალის რაიონნი მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სიმინდის კულტურა, მისი მოვლა-დამუშავების ქვაჩახიასეული ტექნოლოგია, როგორ ჩამორჩნენ რაიონის მთელი რიგი საზოგადოებრივი მეურნეობები სიმინდის მარცვლისა და მწვანე მასის წარმოების საქმეში. აგრეთვე იმ დიდ რეზერვებზე, რომლებიც რაიონს აქვს და ხელს შეუწყობს სიმინდისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრ გადიდებას.

გალში სიმინდი, სოია და ლობიო არცთუ შორეულ წარსულში დიდად პოპულარული იყო. სიმინდი მთელი რიგი კოლმეურნეობების შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა.

იგი ცხოვრებით გახლდათ ნაკარნახევი, რადგან ვისაც სიმინდი და სოია უხვად მოჰყავდა, ბევრი ფრინველის, ღორისა და საქონლის გამოკვება შეეძლო და რაც უნდა მრავალრიცხოვანი ოჯახი ყოფილიყო, რჩება თავისუფლად შეეძლო, სტუმარ-მოყვარესაც რიგიანად მასპინძლობდა.

ახალ კოლხეთში ჩაის, ციტრუსის, დაფნის და სხვა სუბტროპიკული კულტურების გაშენებამ და მოსავლიანობის გადიდებამ უფრო გააძლიერა მეურნეობები, თითოეული ოჯახი, რაიონიც ეკონომიკურად წინ არის, მაგრამ სიმინდმა, რატომღაც მეორე პლანზე გადაიწია და მიივიწყეს. ჩოქოლი ქვაჩახია და მისი მიმდევრები სიმინდს მარტო შემოსავლის ხელსაყრელ წყაროდ როდი მიიჩნევდნენ. მათ კარგად იცოდნენ, რომ სიმინდის სიუხვე აუცილებელი იყო ოჯახისათვის, აგრეთვე პირუტყვის გამოსაკვებად, უსიტინდოდ ხორცის, რძისა და მისი პროდუქტების წარმოება შემცირდებოდა, უფრო მეტიც — შეუძლებელი გახდებოდა. ამიტომ ტრადიციას არ უღალატეს და ომისშემდგომ 50-60-იან წლებში სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანით რაიონის ავტორიტეტი და სახელი რესპუბლიკის ფარგლებსაც კი გასცდა.

ასე გახდა გალი კოლხეთის ზონაში სიმინდის წარმოების ერთ-ერთი დიდი რაიონი, ასე გახდა ოქუმი, შუშლეთი, ქვემო ბარღები და სხვა სოფლები გმირთა სოფლები. იმხანად გალში და მის ყველა სოფელში დაარსდა სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატის — ჩოქოლი ქვაჩახიას სახელობის სკოლები, სადაც ქალიშვილები და ჭაბუკები სიმინდის მარცლის მიღების ქვაჩახიასეულ მეთოდებს გულმოდგინედ სწავლობდნენ, მასწავლებელს ბაძავდნენ, ზოგი ეჯიბრებოდა კიდეც. ამ სკოლებში მეზობელი რაიონების მესიმინდეებს თვით ჩოქოლი ქვაჩახია ასწავლიდა.

ღვაწლმოსილი ჩოქოლი ქვაჩახია 1972 წლის ნოემბერში 75 წლისა გარდაიცვალა. სიცოცხლის ბოლო დღეებამდე იგი კვლავ სიმინდის ყანებს დასტრიალებდა და მზრუნველობდა. მადლიერმა თანასოფლელებმა გმირის ბუსტი ოქუმის ცენტრში აღმართეს.

რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების გამოცდილი, საქმით დაინტერესებული ხელმძღვანელები დღესაც არ თმობენ სიმინდის უხვი მოსავლის მიღების ძველ ტრადიციას და ჩაისთან, ციტრუსებთან და სხვა კულტურებთან ერთად გადაჭარბებით ასრულებენ სიმინდის მარცვლისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გეგმა-ვალდებულებებს, რადგან კარგად იციან, რომ, თუ სიმინდი არის, ხორციც, კვერცხიც, რძეც და რძის პროდუქტებიც უხვად იქნება. ისიც ცნობილია, რომ სუბტროპიკული კულტურების გაშენება, ხელს არ უშლის სიმინდის მარცვლისა და მეცხოველეობის საკვების წარმოების გადიდებას.

მოვიყვანთ რამოდენიმე მაგალითს: ოქუმის ლენინის სახელობის „კოლმეურნეობამ, რომელსაც წლების განმავლობაში უნარიანად ხელმძღვანელობს ლენინის ორდენოსანი მოგელი ეზუბაია, მეათე ხუთწლედის გეგმადავალება ოთხ წელიწადში შესრულა, მათ შორის (მეურნეობა მრავალდარგოვანია) სიმინდის მარცლის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მოყიდვის საგეგმო დავალებები შესაბამისად 140,9 და 119,8 პროცენტით გაანაღდა.

კოლმეურნეობას ყველაზე მოუსავლიან 1981 წელს სიმინდი 250 ჰექტარზე ეთესა და საგეგმო 29 ცენტნერის ნაცვლად 36 ცენტნერი სუფთა მარცვალი მიიღო, ხოლო 1982 წელს — 49,1 ცენტნერი.

სიმინდის, როგორც სასურსათო, ასევე მეცხოველეობისათვის საკვები კულტურის უხვი, სტაბილური მოსავლის შედეგად მეცხოველეობა მომგებიანია. კოლმეურნეობას წლის ყოველ დროს აქვს საკმაოზე მეტი რაოდენობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, ეს კოლეტივი 1982 წლის მუშაობის შედეგების მიხედვით დარგში საუკეთესოდ ცნეს.

ბრიგადა ემსახურება ერთ-ერთ პასუხსაგებ უბანს — კარიერებიდან მადანი გადააქვს მამდიდრეებელ ფაბრიკაში. როგორც წესი, ცვლის დავალებებს ბრიგადა დიდი გადაჭარბებით ასრულებს, ზოგავს დიდძალ საპოხ და საწვავ მასალებს. ბრიგადის ხელმძღვანელი კ. პოპოვი ჩინებული სპეციალისტი და უნარიანი დამრიგებელია, მან ათობით შესანიშნავი მძღოლი აღზარდა. მისი მოწაფეები წარმატებით უწევენ მეტოქეობას მასწავლებელს.

გრაფიკის გასწრებით მუშაობის პრინციპის ერთგულმა კოლექტივმა გადაწყვიტა მიმდინარე წლის გეგმა 7 ნოემბრისათვის შესრულოს. (საქინფორმი).

ფართო მოხმარების საქონელი ხალხს!



ქუთაისის ავეჯის ფაბრიკის წარმოების საძილე გარნიტურები „არმაზი“, „გელათი“, „საქართველო“, „ქუთაისი-3000“ სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანია. მეავეჯეებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ვალდებულება იკისრეს ხუთწლედის მესამე წელს აითვისონ ორი ახალი გარნიტურის მასობრივი გამოშვება, ხუთი პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება და ვადამდე შეასრულონ წლიური დავალება.

ფაბრიკის მშრომელებმა მხარი დაუჭირეს თბილისის ავიამშენებელთა ინიციატივას და გადაწყვიტეს მთელი მეცადინეობა მოახმარონ შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას.

სურათებზე: მოწინავე მეჩუქურთმე კ. ლომიძე; საძილე გარნიტური „ქუთაისი“.

გ. ბერსამის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ტრანსპორტი, გზა, დისციპლინა

საწარმო სანიმუშო გახდება

ფუალტუბოს სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმო ერთ-ერთი მოწინავეა რესპუბლიკაში, მისი კოლექტივი შეუნელებლად იბრძვის ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის გადაჭარბებით შესრულებისათვის და აღწევს კიდეც მიზანს. სისტემატურად იზრდება მგზავრთა გადაყვანა და შრომის ნაყოფიერება, მაღლდება მომსახურების კულტურა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება ეკონომიკის ეკონომიურობაზე, ნედლეულის, მასალების, ენერგიის მომჭირნეობით ხარჯვაზე. სასიამოვნოა, რომ საწარმოს შრომითი კოლექტივის მიღწევები ამ მხრივაც დამაჯერებელია. მეთერთმეტე ხუთწლედის ორ წელიწადში აქ დაზოგეს თითქმის 52 ათასი ლიტრი ბენზინი და 8 ათას ლიტრზე მეტი დიზელის საწვავი, დანერგეს მომჭირნეობასთან დაკავშირებული მრავალი რაციონალიზატორული წინადადება.

— ჩვენი მიღწევები, — ამბობს ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორი ჯ. კვიცარიძე, — ბევრად განაპირობა სოციალისტურ შეჯიბრებაში ფორმალიზმის აღმოფხვრამ, მისმა ქმედითობამ, შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცებამ, მინდობილი საქმისათვის დიდმა პასუხისმგებლობამ. საწარმოს მძღოლებმა, შემკეთებლებმა, სხვა პროფესიის მუშებმა ფართოდ დაუჭირეს მხარი თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივის ინიციატივას „სანიმუშო დისციპლინა, მაღალი ორგანიზებულობა, აქტიურობა და პასუხისმგებლობა — თითოეულისაგან, ყველგან და ყველაფერში!“ და აღწევენ კიდეც ამ მიმართულებით სასურველ შედეგებს.

დისციპლინის განმტკიცების საკითხი საერთოდ ტრანსპორტზე, კერძოდ, საავტომობილო ტრანსპორტზე, მეტადრე მგზავრთა მომსახურების საქმეში ყოველთვის იყო ჩვენი ყურადღების ცენტრში. მოსახლეობისა და დამსვენებლების უკეთ მომსახურების მიზნით, მგზავრთა უბილეთოდ გადაყვანის ფაქტების აღმოსაფხვრელად საწარმოში კარგა ხანია მოქმედებს სამი საზოგადოებრივი კომისია, რომელმაც ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთა. დიმიტროვის საავიაციო ქარხნის ცნობილი თოსნობის შემდეგ კი მუდმივმოქმედი კომისია შეიქმნა. ეს კომისია წინასწარ შედგენილი, გამიზნული პროგრამით მუშაობს და შედეგიანად ებრძვის ნეგატიურ მოვლენებს. თავიდან გვაცილებს სავალალო შემთხვევებს. ყოველივე ამასთან, ჩვენ სრულიადაც არ ვამტკიცებთ, თითქოს ყველაფერი საათივით გვქონდეს აწყობილი. ნაკლოვანებანი ჯერ საკმაოდ გვაქვს, მაგრამ თავადვე ებრძვით მათ გამოსასწორებლად. უფრო მეტიც, მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ხუთწლედის დამლევისათვის საწარმო სანიმუშო-სამაგალითო გავხადოთ და არ გავტეხთ სიტყვას.

ჩანაფიქრის შესრულებაში საწარმოს ძირითადი კორპუსის გენერალური რეკონსტრუქციის განხორციელებაც შეუწყობს ხელს. აშენებენ კიდევ ერთ კორპუსს, რომელშიც იკარუსის მარკისა და ტაქსების შესაკეთებელი უბნები განლაგდება. ახალ შენობაში თანამედროვე, დიდმწარმოებლური ტექნიკა დამონტაჟდება, მკვეთრად ამაღლდება წარმოების კულტურა, კეთილმოეწყობა საწარმოს ტერიტორია. თვისებრივად გაუმჯობესებას ხელი უნდა შეუწყოს ტრანსპორტის მუშაობის თაობაზე საზოგადოებრიობის აზრის შესწავლამ. საწარმოს ყოველდღიური საქმიანობის პროგრამას საფუძვლად დაედება მოსახლეობისა და დამსვენებელთა სურვილები. ადმინისტრაცია ყველაფერს იღონებს მათი შესრულებისათვის.

ქ. ბალაქ-კუურორტის მოსახლეობას, დამსვენებლებს დღეისათვის ემსახურება ათობით კომფორტული ავტობუსი და ტაქსი. მოწყობილია მსუბუქი ტაქსების ბინაზე გამოძახება. მგზავრთა მოთხოვნის შესაბამისად წყალტუბო-მაღლაკის, წყალტუბო-გუბისწყლის, წყალტუბო-ქუთაისის, აეროპორტის და მაღლაკ-ქუთაისის მიმართულებით გაიხსნა ახალი მარშრუტები, რომლებითაც რაფ-2203 მარკის მიკროავტობუსები დადიან. წყალტუბოს ზონის ყველა სოფელი ახლა ავტობუსით უკავშირდება ქალაქის ცენტრს. წყალტუბოდან ყოველდღიურად დადიან კომფორტული ავტობუსები სოჩის, გაგრის, ბიჭვინთის, სოხუმის, ქობულეთის, ბათუმის, თბილისის, ბორჯომის, ორჯონიკიძისა და სხვა მიმართულებებით. ამ მარშრუტებს საქმის მცოდნე მძღოლები ემსახურებიან.

მძღოლების დაოსტატებაზე, მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა ავტოსატრანსპორტო საწარმოს ხელმძღვანელობის უპირველესი მოვალეობაა, მეთერთმეტე ხუთწლედის დამდეგიდან პირველი თანრიგი მიიღო მეორე კლასის 50 მძღოლმა და 20 შემკეთებელმა. კვალიფიკაციის ამაღლებისა და მოძრაობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით მძღოლებს სისტემატურად უკითხავენ ლექციებს, უჩვენებენ დოკუმენტურ ფილმებს მოძრაობის წესების დარღვევის ყოველი, ერთი შეხედვით, თითქოსდა უმნიშვნელო ფაქტიც საგანგებო შემთხვევად ითვლება. ადმინისტრაციას მიაჩნია, რომ ტრანსპორტის მოძრაობის წესების დაცვაში წვრილმანები არ არსებობს და უურეგალრებიდ უდისციპლინობის გამოვლენის არც ერთ შემთხვევას არ ტოვებს.

წყალტუბო საქვეყნოდ ცნობილი კურორტია. ვინ იცის, საიდან არ ჩამოდიან აქ ჯანმრთელობის აღსადგენად. დამსვენებლის კარგი გუნება-განწყობილების შექმნას ყველაფერი უნდა უწყობდეს ხელს. აბა რა კულტურულ მომსახურებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა მძღოლი საქმე წვრილაფაპარსავი, გაზეთილი ტანსაცმლით უჯდება. საწარმოს საპარიკმახეროო და საშხაპე ხომ დილის 5 საათიდან მუშაობს და თავის გასამართლებელ საბუთს არავის უტოვებს. მოგვარებულია მძღოლთა სპეცტანსაცმლით მომარაგების საქმე, კეთილმოწყობილია მუშათა სასადილო.

საწარმოში სოციალისტური შეჯიბრება ყურადღების ცენტრშია. შრომითს მეტოქეობაში დაწინაურდნენ ავტობუსებისა და ტაქსების მძღოლები ბ. ახალაძე, შ. ჟორჟოლიანი, ა. ბაქაპურიძე, ო. კეპულაძე, ა. ჩხობაძე, ჯ. ქაშიბაძე, ვ. სინაფოლა, ჭ. ჩიხლაძე, გ. კინწურაშვილი, გ. ნემსიწვერიძე, ჟ. კლდიაშვილი, გ. არაბიძე ბ. გოგიავა, მათი წვლილი საწარმოს წინსვლაში საკმაოდ საგრძნობია, ისინი ყოველდღიურ დავალებას 105-118 პროცენტით ასრულებენ, იბრძვიან სრული წესრიგისათვის, უფროსხილიდან საწარმოს პრესტიჟს, ეხმარებიან ახალბედა მძღოლებს პროფესიის დაუფლებაში.

საწარმოს ადმინისტრაცია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობენ ფიზკულტურასა და სპორტს. აქ მოქმედებენ ფეხბურთის, ფრენბურთის, ჭადრაკის, შაშისა და სხვა სპორტული სექციები, რომლებშიც ჩაბმულია ახალგაზრდობის აბსოლუტური უმეტესობა.

წყალტუბო იბრძვის სანიმუშო საკურორტო ქალაქის სპპაციო წოდებისათვის. ამიტომაც მის კეთილმოწყობას, გალამაზება-გამშვენებას, მისი ჰაერის სიწმინდეს, მომსახურების კულტურის მუდმივ გაუმჯობესებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მომავლისათვის გარემოს გაუუმჯობესებლის თვიდან აცილებისა და ქუჩების სფარის მაღალ დონეზე შენარჩუნების მიზნით ქალაქის ცენტრში მხოლოდ მიკროავტობუსები ივლიან. მიკროავტობუსებისა და მსუბუქი ტაქსების კავშირი საწარმოს სადისპეტჩეროსთან რადიოფიცირებული იქნება.

შ. ამაშუკელი,
დ. გედენიძე.
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ვისწავლოთ კულტურების მოყვანის კულტურა!

სიმინდი ძვირფასი მარცვლეული კულტურა რომ არის, ამას მტკიცება რად უნდა. მისი სიკეთე ქართველი გლეხკაცისათვის ოდითგანვე იყო ცნობილი, ამიტომ არ აკლდა მოვლა-პატრონობას და მოსავალიც უხვი იყო. იგი საუკეთესო სურსათიც იყო და საქონლის, ღორის, ფრინველის მთავარი საკვებიც. ამიტომ გამრჯე გლეხკაცს ბეღელში წლიდან წლამდე უხვად ჰქონდა თავის თვისაც და საფურაჟიდაც. სიმინდის მარცვლის უხვი მოსავლის მიღებით ბევრმა დაიშვენა მკერდი გმირის ო



ჩვენი ქვეყნისა მეგობარი

სერგეი მიხალკოვს — დიდებულ სბავშო პოეტს, დრამატურგს, იგავთმწერალს, პუბლიცისტს, საზოგადო მოღვაწეს დაბადების 70 წელი შეუსრულდა.

საქვეყნოდ სახელგანთქმული პოეტის ნაწარმოებთა ტირაჟმა უკვე გადაამტა 150 მილიონს, საბჭოთა ლიტერატურის წინაშე სერგეი მიხალკოვის დამსახურებაზე ხმამაღალი მტყველებენ წოდება სოციალისტური შრომის მგმრისა, ლენინის ოთხი ორდენი, ოქტომბრის რევოლუციის, წითელი დროშის, შრომის წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავის ორდენები, მრავალი მედალი.

1970 წელს სერგეი მიხალკოვს უმცროსი ასაკის ბავშვთათვის გაწაყთვნილი ლენინური პრემიის ლაურეატის სერგეი მიხალკოვის მეთაურობით, ჩვენი რესპუბლიკის მწერლებისადმი მუდმივი ყურადღებისათვის, იმ მეტად სასარგებლო ღონისძიებებისათვის, რომლებიც უკანასკნელ წლებში საბჭომ საქართველოში ჩაატარა".

რუსული საბჭოთა ლიტერატურის კლასიკოსი ალექსანდრე ფადეევი თავის დროზე ამბობდა: „მიხალკოვის პოეტური ხმის გასაკუთრებულობა მის უბრალოებაში, ბუნებრივობაშია, იმაში, რომ პოეტი არამომბეზრებლად, არავულგარ ულად იძლევა ლექსებში ბავშვთა სოციალური აღზრდის საფუძვლებს".

მეგობარი

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი სერგეი მიხალკოვი უშინსკისა და კრუპსკაიას სახელობის მედლების კავალერია.

ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში მეტად აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოებულია მარშლის სახელობითი დაწერით და ალექსანდრე ფადეევის სახელობის ოქროს მედლით.

სატირულ კინოჟურნალ „ფიტილის" მთავარი რედაქტორი სერგეი მიხალკოვი წევრია მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლენინური და სახელმწიფო პრემიების კომიტეტისა ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში.

რსფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე და სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი სერგეი მიხალკოვი ამავე დროს ხანგრძლივი დროის მანძილზე ხელმძღვანელობს საკავშირო მწერალთა კავშირის საბავშვო და ახალგაზრდული ლიტერატურის საბჭოს.

ჩვენ, ქართველ მწერლებს, არაერთხელ განგვიცდია უფრიანი მეგობრის გულის სითბო, ყურადღება, მზრუნველობა. ამის საპასუხოდ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე წერდა თავის სტატიაში „ყველაფერი ბავშვებისათვის": „თავს ნებას მივცემ ვისარგებლო შემთხვევით და გულითადი მადლობა გადავუხადო სსრ კავშირის მწერალთა კავშირის საბავშვო და ახალგაზრდული ლიტერატურის საბჭოს, ჩვენი ძვირფასი მეგობრის, სოციალისტური შრომის გმირის, ლენინური პრემიის ლაურეატის სერგეი მიხალკოვის მეთაურობით, ჩვენი რესპუბლიკის მწერლებისადმი მუდმივი ყურადღებისათვის, იმ მეტად სასარგებლო ღონისძიებებისათვის, რომლებიც უკანასკნელ წლებში საბჭომ საქართველოში ჩაატარა".

არ შეიძლება არ დაეთანხმო პოეტ ეგორ ისაევს: „დიდმა იგავარაკმა თავისი თავი მიხალკოვში იპოვა და დიდმა მიხალკოვმაც იპოვა თავისი თავი იგავარაკში. ამ მხრივ მათ ყველაფერი წესრიგში აქვთ. ეს წესრიგი კი საბავშვო ლექსებიდან დაიწყო, იმ ცოცხალი, სასაუბრო ენის გრძნობიდან, რითაც მეტყველებს ბავშვობა".

მწერალი ანატოლ ალექსინი სამართლიანად აღნიშნავს, რომ პოიონერიისათვის განკუთვნილი თეატრის რეპერტუარის საფუძველი ს. მიხალკოვმა შექმნა და ჩვენი საბავშვო თეატრის ისტორია, მისი გუშინდელი და დღევანდელი დღე, შეუძლებელია წარმოიდგინო მიხალკოვის პიესების („წითელი ყელსახვევი", „შინ წასვლა მინდა!", „განსაკუთრებული დავალება", „სომბრერო", „მხიარული სიზმარი") გარეშე.

საბჭოეთის ბავშვების უსაყვარლესი პოეტი მშრომელებმა სამჯერ აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ამ დღეებში ქალაქ მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, ჩატარდა მწერალთა ოვანი საბჭოთა საბავშვო ლიტერატურის დიდი მედროშის სერგეი მიხალკოვის საიუბილეო საღამო.

მთელი ქართველი ხალხიც სიყვარულით მიესალმება სერგეი ვლადიმერის ძე მიხალკოვს, სულითა და გულით უსურვებს მას ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს.

ხუტა ბერულავა.

ეურნალ „დროშის" მთავარი რედაქტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის სახავშვო და ახალგაზრდული ლიტერატურის სექციის თავმჯდომარე.

სერგეი მიხალკოვი

ლომი და იარლიყი

გამოიღვიძა ლომმა უცებ და ელდა ეცა
მერე ღრიალით დაარღვია სიწყნარე ტყეთა:
ვინ გაუბედა ეს დაცინვა, რომელმა მხეცმა —
ეს იარლიყი ვინ მიაკრა ლომის კუდს, ნეტავ!

სწერია: „ვირი". ზედ ნომერი. იქვე თარიღი.
გაკრული ხელი ვიღაცის და ბეჭედი მრგვალი...
ლომის გაგიჟდეს. ხურს მოიძროს ეს იარლიყი,
მაგრამ ნომერი და ბეჭედი? დახუჭა თვალი
და გადაწყვიტა მოიშოროს კანონიერად,
რათა პასუხი არ მოსთხოვოს მასზე ძლიერმა!

მხეცთ საკრებულოს გადახედავს მრისხანედ, მტრულად.
„მე ლომი ვარ თუ არ ვარ ლომი?" — ჰკითხავს და ჰკვირის.
„ჰო... ფაქტიურად თქვენ ლომი ხართ, — მიუგებს ტურა, —
იურიდიულ მონაცემით ბრძანდებით ვირი!"

„ვირი როგორ ვარ, როცა თავს არც ვეკარები!"
„მე ლომი ვარ თუ..." კენგურუსთან პირდაპირ მიდის,
„დიახ, — კენგურუ უპასუხებს თავშეკავებით, —
რაღაცით ჰგავხართ ლომსაც, თუმცა არ ვიცი, რითი!"

„ვირო! შენ მაინც რად გაჩუმდი? შენეულ ჯილაგს
რით დავიმგზავნე? შენს გომფრში ვინ დამსახლა?"
ჩაფიქრდა ვირი, მოსაზრებას გამოთქვამს ფრთხილად:
„ჯერ არ ხარ ვირი, მაგრამ უკვე ლომიც არა ხარ!"

თავი ამოდ დიმცირ ვედრებით, წყრომით,
მგელსაც აუხსნა და ტურასაც თვალდანისლულმა,
უთანგრძნობოდ, რა თქმა უნდა, არ დარჩა ლომი,
მაგრამ მოძრობა იარლიყის არვინ ისურვა.

ჩამოხმა ლომი, ჩამოშორდა თავის მეგობრებს.
ხან ერთს უთმობდა გზას და ბილიკს, ხან კი მეორეს.
და ბოლოს, ლომის ბუნაგიდან, გამთენიისას,
გაისმა უცებ შეძახილი მართლა ვირისა.

მორალი ჩემი იგავისა გახლავთ ასეთი:
ლომს არ აქვს ძალა იარლიყის მეათასედი...

გიუროკრატი და სიკვდილი

სწორედ იმ დილით
ბიუროკრატს წასაყვანად გაჩნდა სიკვდილი.
ნახევარი დღე მისაღებთან იდგა სიკვდილი,
ნახევარი დღე მისაღებში იჯდა სიკვდილი,
ნახევარი დღე რიგს ელოდა ძალამიხდილი,
იმ რიგს,
რომელიც კვლავ იზრდებოდა,
ერთი წამითაც არ მცირდებოდა.
ამდენ ლოდინში
გადაიღალა
და სიკვდილი... გარდაიცვალა!

„რაო? სიკვდილზე ძლიერია ბიუროკრატი?"
არა!
და მაინც ცოცხლობს კიდევ, თუმცა დრო გადის...

თარგმნა ხუტა ბერულავამ.

დღესასწაული

სრულიადაც არ ვაპირებ მაია პლისეცკაიას სპექტაკლებზე ჩვეულებრივი რეცენზიის დწერას. ყოველგვარი რეცენზიები ამის თაობაზე უკვე დაიწერა და ბევრი აზრიც გამოითქვა. ისინი თითქმის არავითარ დავას არ იწვევენ და ერთ რამეში მთლიანად ემთხვევიან კიდეც — გაოცება ბალერინის დიდი ხელოვნებით, მისი ცეკვის სასწაულებრივი ზემოქმედებით. არაერთხელ თქმულა, რაოდენ განუმეორებლად მშვენიერია მისი მოძრაობისა და პლასტიკის აბრისი, რაოდენ ღრმა და ფაქიზია მისი არტისტული ტალანტი, როგორია მისი ხელოვნების მუსიკა, როგორ მღერიან - მისი ხელები, რომ ზოგჯერ ენა უძლურია გამოთქმად, და მხოლოდ იმას ვგრძნობთ, რომ ხელოვანმა ჯადოსანი. მარადიულობას, ამა სოფლის იდუმალებას, რომლის შეცნობა კაცის ძალას აღემატება.

ამ იდუმალებას მაია პლისეცკაიას ცეკვა შობს. იგი ოცნებად და ჯადოქრობად მოგვევლინა მშვენიერი ზღაპრიდან — ამქვეყნიური, ხელშესახები, მთრთოლვარე და ამაყი, და დაგვარწმუნა, რომ ქვეყნად სასწაული არსებობს. სრულყოფილების სასწაული! ადამიანის შეგნებაზე ხელოვნების ზნეობრივი ზემოქმედების სასწაული! სულის მარადიული ახალგაზრდობის სასწაული!

რა არის ეს, ბედნიერი შემთხვევა? ბედნიერი ვარსკვლავი? იღბალი? ყველა ეს კითხვა ჯარმენიულად შეერწყმოდა დადებითი პასუხის ბუნებრივ ლოგიკას, ასევე ბუნებრივად რომ არ ეწინააღმდეგებოდეს სხვა, უფრო საღ ლოგიკას. როცა აჯამებ ბალერინის ცხოვრების მოვლენებს, როცა ჩასწვდები მისი ინდივიდუალობის ბუნების „იდუმალ" ხვეულებს, ასკვნი, რომ ბედის ვარსკვლავმა კი არა, არამედ ბედის სიკეთეზე სულიერმა გამოძახილმა, ამ ძახილის გაგზრების უნარმა, სამყაროს მრავალფეროვნების შესისხლხორცებამ, მისი რიტმის მიყურადებამ, ამ სამყაროში თავისი თავისა და თავისი ადგილის მიგნებამ, საკუთარი „მეს" პოვნამ შვა მთელი იმ თვისებების ერთობლიობა, რომლებსაც შეუძლიათ სასწაული მოახდინონ. და მაშინ ამ ორბიტაში მოექცა ლტოლვა და დაძაბულობა აზრისა, უფლმივი თავგანწირვა და შეუპოვარი, თითქმის ფანატიკური მარადიული ძიება, და ყოველივე ამით შობილი სხეულის, ჟესტის, მოძრაობის, აზრის აღმაფრენის სიმსუბუქე, მისი ხელების მელოდიურობა. ჩანს, ყოველივე ეს ერთად აღებული (მათ უკან კი რამდენი რამ იმალება!) ქმნის სწორედ ცეკვის სრულყოფილ სცენურ ფორმებს, რომელიც სცდება ამა სოფლის ფარგლებს, შემადგენელ ნაწილებად ვერ დაიშლება და ვერ ეტევა ვერავითარ „გამოთანგარიშებაში", არამედ თავმოყრილია რაღაც ერთში, დიადში, მთლიანში, და შობს ხელოვნის პირონვების უმაღლეს სრულყოფილებას. და ეს სწორედ ის ზღვარია, რომლის იქით გადაბიჯება შეუძლებელია, ზღვარი, რომელიც აღსავსეა ამოუცნობი იდუმალებით და ამიტომ ესოდენ მიმზიდველია.

ოდესღაც ბელა ახმადულინას უთქვამს: „მშვენიერია ადამიანის სიმწიფე, მაგრამ ხანმოკლეა იმ დროსთან შედარებით, რომელსაც ამ სიმწიფის მისაღწევად ხარჯავსო".

ეს მაია პლისეცკაიას შესახებ არ უთქვამს, მაგრამ მასაც ეხება, სიმწიფისა და სრულყოფისათვის საკმაოდ დიდი დრო დაიხარჯა. მახსენდება ბალერინის შემოქმედებითი ცხოვრების გზა მისი პირველი ნაბიჯებიდან (მე წ�მხვდა ბედნიერება ამის ცოცხალი მოწმე ვყოფილიყავი) დღემდე, როცა ჩვენ კვლავ შევხვდით. გმირობის გარდა ვერაფერს უწოდებ ამ გზას.

არ ვიცი, რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, როგორ დაიწყო ეს გმირობა, ვიცი მხოლოდ, რომ სწრაფმსრბოლი დრო დაემთხვა ბალერინის სწრაფ ფორმირებას, მისი ინდივიდუალობის, მისი ბუნების, ადამიანური და შემოქმედებითი ხასიათის ჩამოყალიბებას. ვიცი ისიც, რომ ეს ფორმირება რაღაც უეცრად და ერთბაშად მოხდა. უკან მოხედვაც კი ვერ მოვასწარით, რომ სენ-სანსის მომაკვდავ გედად მოგვევლინა. მაია პლისეცკაიას ეს მომაკვდავი, მაგრამ უკვდავი გედი მაშინვე დაეუფლა ჩვენს სულსა და გულს, ჩვენში შემოიჭრა როგორც ყმთა სრბოლის სუნთქვა, როგორც სიწმინდის, კეთილშობილების, სულიერი სიდიადის სიმბოლო, როგორც მარადიული მშვენიერების ხატი. და ასევე ერთბაშად გაოცდა მფელი მსოფლიო.

და განა მარტო გედი?! ჩაიკოვსკის „შჩელკუნჩიკის" მაშა და ბ. ასაფიევის „ბაღჩისარაის შადრევნის" ზარემა, ფერია ვიოლანტი და იასამნის ფერია (ჩაიკოვსკის „მძინარე მზეთუნახავი"), ა. ადანის „ჟიზელის" მირტა და ა. გლაზუნოვის რაიმონდა ამავე სახელწოდების ბალეტიდან, ჩაიკოვსკის ოდეტა-ოდილია და ავროორა, მინკუსის „დონ კიხოტის" ჩელსტა, ფ. იარულინის „შურალეს" სუმბმიკე და ს. პროკოფიევის „ქვის ყვავილის" ბრინჯაოს მთის დიასახლისი, ა. კრეინის ლაურენსია და როდიონ შჩედრინის მეფე-ქალწული ამავე სახელწოდების ბალეტიდან, ეგინა და ფრიგია — ორი პარტია ა. ხაჩატურიანის ბალეტ „სპარტაკიდან", ი. სტრავინსკის ფასკუნჯი და ა. მელიკოვის მეჰმენე ბანუ („ლეგენდა სიყვარულზე") და ბოლოს კარმენი, ანა კარენინა და ნინო ბარენია („თოლია") რ. შჩედრინის ბალეტებიდან. აი არასრული ნუსხა სახეებისა, რომლებიც ბალერინამ შექმნა. აი ისინი, მისი გმირები, რომლებთან ხელიხელჩაკიდებულმა განვლო თავისი გზა ხელოვნებაში. ამაყნი, ქედუხრელნი, ძალითა და ვაჟკაცობით, სიყვარულითა და მრისხანებით, მთრთოლვარებითა და თავდადებით აღსავსენი წარმოგვიდგებიან ისინი და სამარადამოდ არიან ჩაწერილნი ოქროს ასოებით მსოფლიო საბალეტო თეატრის მატიანეში. და თუ შეგვიძლია ვთქვათ, რომ პლისეცკაიას დღენიადაგ უღიმოდა ბედი, ეს ალბათ, გამოვლინდა როლების სიმრავლეთ, და მასთან ერთად დაუშრომელი მუშაობით — ეს მას არასოდეს არ აკლდა. და კიდევ ერთი „იღბალი" — ურთიერთობა და შეხვედრები თეატრალური სამყაროს გამოჩენილი ადამიანების შემოქმედებასთან (არც ეს აკლდა!), როგორიც არიან კ. გოლეიზოვსკი და ა. მესერერი, ლ. ლავროვსკი და ვ. ბაბუკინი, ს. პროკოფიევი და ა. ხაჩატურიანი, ალბერტო ალონსო და ა. ეფროსი, და ბოლოს, რა თქმა უნდა, როდიონ შჩედრინი, რომლის საკომპოზიტორო ხელოვნებამ განსაკუთრებით გაამდიდრა. უკანასკნელ წლებში პლისეცკაიას ცეკვა, განსაზღვრა მის ცხოვრებაში ახალი შემოქმედებითი შთაგონებანი და აღმაფრენანი, უზრუნველყო მისი ახალი შემოქმედებითი აღმასვლა. სწორედ ამ წანამძღვრებმა შეუქმნეს პლისეცკაიას ხელშემწყობი სიტუაციები იმისათვის, რომ შეხვედროდა ისეთ საინტერესო ბალეტმაისტერებს, როგორიც არიან როლან პტი, მორის ბეჟარი, ჯ. რობინსი, რამაც მის შემოქმედებითს პალიტრას შემატა მომაკვდავი ვარდის („ვარდის კვდომა"), ალიედრა დუნკანის, მ. რაველის („ბოლეროს" მელოდიის, ლედას („ლედა") სახეები, გარკვეული გავლენა მოახდინა პოლოზოვას სახეზე რეჟისორ ა. ეფროსის ტელეფილმში „გაზაფხულის წყალობი".

მაია პლისეცკაიას სცენურ სახეებში (წინათ შექმნილშიც და ახლანდელშიც) შერწყმულა მსახიობის მრავალმხრივნელი ვ ა ნ ი სტილისტური საწყისების სინთეზირების სრულიად თავისებური და განუმეორებელი ნიჭი, თემატურ და მუსიკალურ მიდრეკილებათა პოლარულობა. მრავალმხრივობა და პოლარულობა საშუალებას აძლევს მას გასცდეს რომელიმე ერთი (ერთადერთი) თემის, რომელიმე ერთი (ერთადერთი) სულ ი ე რ ი განწყობის, მოძრაობის პლასტიკის, მანერის, სტილის ფარგლებს. მაგრამ განა დღემდე არ არის გავრცელებული აზრი, თითქოს პლისეცკაიას სამყაროსათვის უფრო დამახასიათებელი იყოს ამაღლებული ენებანი, ტემპერამენტის აღმაფრენა, აქტიური და შეტევითი ცეკვა, ვიდრე ინტონაციათა ჩუმი ელეგიურობა, მოძრაობისა და სხეულის სინარნარის რბილი მელოდიურობა. მაგრამ საკმარისია გავიხსენოთ სენ-სანსის მომაკვდავი გედი, პოლარული ოდეტა და ოდილია, ან ვნახოთ დღეს ვარდის კვდომა, რომ საწინააღმდეგოში დავრწმუნდეთ.

ეს „საწინააღმდეგო" ჩინებულად გამოვლინდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე ბალერინის ორდღიანი გასტროლების ჟამს. მომაკვდავ ვარდში შერწყმულია ხელოვნის გამჭვირვალე სიწმინდე და უმანკო სული, მელოდიურად რბილი მოძრაობა, გაადამიანებული ვარდის შინაგანი (წმინდა ტრაგიტისტული) წვდომის სიღრმე, ბისფილოსოფიური გაგაზრება. და მეორე მხრივ, ბიზე-შჩედრინის [illegible] მენი თავისი შმაგური, [illegible] ლევით მოვარდნილი [illegible] მგზნებარე გატაცებით, თავგანწირული, ავანსებული მოძრაობით, სტილიზებული, ჩამოქნილი საცეკვაო რაკურსებით.

პლისეცკაიას სცენური სახეების მრავალმნიშვნელობანობა და პოლარულობა ყოველთვის გვიჩვენებს, რაოდენ არაორდინარულია მისი არტისტული ბუნება. ზედიზედ ორ საღამოს ვიხილეთ ჩვენ ერთმანეთისაგან ესოდენ განსხვავებულ სახეთა „კონცერტრაცია". მათ ხორცი შეისხეს ბალერინის თავდაჭერაში, მისი ხელების, ხელის მტევნებისა და თვით ტორფების პლასტიკაში, შინაგან განწყობაში, ერთი სიტყვით, ყოველივე იმაში, რაც ქმნის მთლიანად ცეკვის ცნებას.

ზედიზედ ორ საღამოს ვესწრებოდით ცეკვის დღესასწაულს. სპექტაკლებმა ამაღლებულად ჩაიარა. ამას დიდად შეუწყვეს ხელი დირიჟორმა ირაკლი ჭიაურელმაც, ორკესტრმაც, და, რაც მთავარია, მ. პლისეცკაიას სამმა პარტნორმა — ვიქტორ ბარიკინმა (ხოზე), სერგი რადჩენკომ (ტორერო), ბორის ეფიმოვმა (ეორეხიდორი და ყმაწვილი „ვარდის კვდომიდან"). ყოველ ამ მოცეკვავეთაგან თავისი ღირსება ამშვენებს. უჩვეულოდ პლასტიკური და დრამატულია ხოზე — ბარიკინი. მისი პლასტიკა მელოდიერია, ნახტომი — უმსუბუქესი, მოძრაობა — ნატიფი. ტემპერამენტითა და აღმავალი რიტმით გამოირჩევა ს. რადჩენკოს ცეკვა. შინაგანი რწმენა და ფართო დიაპაზონი ახასიათებს მის პლასტიკას. ასევე დახვეწილ ხელოვნად წარმოგვიდგა ბ. ეფიმოვი, მის მოძრაობაში დიდი შინაგანი ძალა იგრძნობა.

დიახ, ზედიზედ ორი საღამოს მანძილზე ჩვენი ქალაქის თეატრალურ სამყაროში დღესასწაული იყო. ცეკვის დღესასწაული, ადამიანური შთაგონების დღესასწაული, პოეტური აღმაფრენის დღესასწაული! და ყოველივე ამის თავზე ემბლემასავით, მშვენიერების სიმბოლოსავით ალანდებოდა განუმეორებელი „მაიას ხელები", ამღერებული ხელები. და ზღვარი არა აქვს ამ სიმღერას, როგორც არა აქვს ზღვარი დიდ, ჭეშმარიტ ხელოვნებას.

ეთერ გუგუშვილი.

* * * *

სურათებზე: სპექტაკლ „კარმენ-სიუიტის" სცენები.
ს. კილაძის ფოტო.

ცვინის საიდუმლოებათა შემეცნებისათვის

ყველაფერი სპილომ გადაწყვიტა. თვითონ. და ყველას დაუმტკიცა, რომ იგი სულაც არ არის რაღაც უსულო, პირობითი რეფლექსების გამოსამუშავებელი მანქანა. სპილოს ცირკში ეფექტური ნომერი ჰქონდა: იგი იჩოქებდა და მომთვინიერებლს ასისტენტ ქალს მუცელქვეშ გაიძვრენდა ხოლმე. მერე სპილოს ასწავლეს სწრაფად, მოწყვეტით დაშვებულიყო არენაზე — როგორც კი შოლტს შეახებდნენ. წარმოდგენის დროს, როცა ასისტენტი ჩვეულებისამებრ სპილოს მუცელქვეშ ძვრებოდა, ცხოველს უბრძანეს: „დაწექ!" და სპილოც დაწვა. — ოღონდ მას შემდეგ, რაც ქალი საშიში ზონიდან გაიგულა... აი, ასე შეცვალა მან ტრაგიკული აღსასრული ბედნიერი დასასრულით. მომთვინიერებელთა დაკვირვებებს ცხოველებზე დიდი მნიშვნელობა აქვს ეტოლოგთა გამოკვლევებისათვის. ეს ეპიზოდი აბსოლუტურად სარწმუნოა (იგი თავის მოგონებებში ვვიიამბო იური ნიკულინმა). სარწმუნოა, მაგრამ — აუხსნელი. ტვინის ფიზიოლოგებმა ვერ მითხრეს: მაინც, რა ამოძრავებდა სპილოს?

იქნებ, ინსტინქტმა გასჭრა. სპილოებს ცოტა ჰყავთ ნაშიერები, ისინი თავს დაჰკაკანალებენ მათ, თანაც ყოველი შემთხვევისათვის ძალიან ფრთხილობენ, რომ არაფერი ავნონ სხვა პატარა არსებებსაც. მაგრამ შესაძლოა, სპილოს საქციელი განაპირობა არა ინსტინქტმა, არამედ ემოციებმა: იგი ხომ მიჩვეული იყო ადამიანებს, რომლებთან ერთადაც მუშაობდა. არის მესამენაირი ახსნაც: სპილო ტყუილუბრალ ო დ არავის გაჭყლეტს — ინტელექტი არ დაანებებს.

მაგრამ მეცნიერებს არ მოეპოვებათ „ინტელექტის" ცნების ზუსტი განსაზღვრება. სადისკუსიოა თვით აზრი ცხოველთა გონიერი ქცევის შესახებ. გიურკვეველია, რამდენად უახლოვდება მათი უმაღლესი ნერვული მოქმედება ადამიანისას. არ არის გადაწყვეტილი, ტვინის რა მექანიზმები უზრუნველყოფენ ქცევას — გადარჩენის უნარს, ახალ პირობებთან საქციელის შეგუებას.

აი, რატომ იყო ეს პრობლემა — „ინდივიდუალური ქცევის ფორმირება" — მორიგი „გაგრის საუბრების" თემა. ასე ეწოდება ტრადიციულ საერთაშორისო სიმპოზიუმს, რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ ეწყობა ხოლმე. ამ შეხვედრაზე ტვინის ფიზიოლოგები განიხილავენ ერთ რომელსამე პრობლემას. მუდამ ერთს. ოღონდ — საკვანძოს. ოღონდ — გადაუწყვეტელს. ისეთს, რომელზეც არის დამოკიდებული ტვინის ფიზიოლოგიის შემდგომი განვითარება. და ისეთს, რომელზეც ვერ შეთანხმებულან მეცნიერული სამყაროს უთვალსაჩინოესი ავტორიტეტები.

ამ ტრადიციას დასაბამი მისცა გამოჩენილმა საბჭოთა ფიზიოლოგმა ი. ს. ბერიტაშვილმა. ახლა მას განაგრძობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც აკადემიკოს ბერიტაშვილის სახელობისაა. წელს ევროპის ქვეყნებიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, კანადიდან ჩამოვიდნენ საქართველოში „გაგრის საუბრების" საორგანიზაციო კომიტეტის მოწვევით სულ სხვადასხვა მიმართულების მეცნიერები.

„საუბრებზე" საორგანიზაციო კომიტეტმა „ტვინის იერიში" ოპერატიულად გადააქცია სქელტანიან წიგნად — სტენოგრაფიულ ანგარიშად. ჩემი ინტერესი ათ ბანან. შემდეგ კიდევ ერთი პირობა დაუმატეს. ხუთი პატარა ფირფიტა შეეძლოთ ერთ დიდში გადაეცვალათ, დიდი ენტონის მფლობელ მაიმუნს თხუთმეტ ბანანს აძლევდნენ. ყველაზე სულსწრაფი შიმპანზეები „უზალთუნს" რომ მოიპოვებდნენ, მყისვე გარბოდნენ ჯილდოსათვის. მაგრამ აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც აგროვებდნენ პატარა-პატარა ენტონებს, შემდეგ ცვლიდნენ მათ დიდში და ყველაზე მეტ ხილს იღებდნენ.

ეს გამოკვლევები ი. პ. პავლოვის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტსა და ამერიკის კვლევითს ცენტრებში ეწყობოდა. შედეგები ერთნაირი იყო. მაიმუნებმა ტაქტიკა გამომუშავეს და ერთმანეთთან დაამყარეს კონტაქტი. მათ განზოგადების უნარიც გამოიჩინეს, ამოცანის გადასაწყვეტად ხომ მაიმუნებს არა მარტო უნდა გაერჩიათ „დიდი" „მცირესაგან", არამედ ესწავლათ კიდეც ორი სხვადასხვა სიმრავლის შედარება. უეჭველია, მათ „ავარჯიშებდნენ", გამოუმუშავებდნენ პირობითს რეფლექსებს. მაგრამ განა ხსნის ეს მათს უნარს მოახდინონ რთული შედარებები? ხომ არ გამომქღავნდა აქ ტვინის უფრო ძნელი და დამოუკიდებელი მოქმედება?

ლ. ა. ფირსოვი ცდებში იყენებს პრინციპს „მსახიობი — მაყურებელი". სხვა შიმპანზეების დასანახავად დემონსტრატორი მაიმუნი რთულ, კონსტრუქციის საკვებურიდან რამდენჯერმე იღებს საჭმელს. და მაშინ მაყურებლებს შეუძლიათ პირველივე ცდით თავად ამოხსნან იგივე ამოცანა. ეტყობა, მიბაძვის გზით ურთიერთსწავლების მექანიზმები ბუნებას იმიტომ გამოუმუშავებია და დაუმკვიდრებია, რომ ისინი აუცილებელია ცხოველთა ტვინის განვითარების დაჩქარებისათვის.

ფირსოვის ლაბორატორიებში ეს ბუნებრივ ფენომენად ითვლებოდა. ამ ფენომენის ბიოლოგიური ფუძე ასეთია: ტვინის ერთ-ერთ ნაწილში, ბადურა-ბოლქვში, ინფორმაციის ინტენსიური ნაკადი ერევა ერთმანეთს. ეს ნაკადი ბადურა-ბოლქვიდან ბრუნავს ტვინის ქერქისაკენ, ანუ ინფორმაციის ეს ნაკადი ბრუნავს ტვინის ერთ-ერთ ნაწილში, ბადურა-ბოლქვში

18 მარტი

უკანასკნელი

ფაქტები
მოვლენები
საკვლევი
იუწყება

ვითარება ლიბანში

ოკუპანტებს-საკადრისი პასუხი

ბეირუთი. აქ გაიმართა ლიბანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომა, რომელზეც განიხილეს ისრაელის ჯარების მიერ ქვეყნის ტერიტორიის ოკუპაციასთან დაკავშირებით აქ შექმნილი საშიში — პოლიტიკური ვითარება.

ტერორის, რეპრესიების, შანტაჟის, მოღალატეთა დაქირავებისა და ზეგავლენის სხვა საშუალებებით ისრაელის მმართველი წრეები ცდილობენ გაამარადისონ ლიბანის ოკუპაცია, ნათქვამია ლიბანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განცხადებაში. ტელ-ავივი ძირს უთხრის ლიბანის დამოუკიდებლობას, ფართო ეკონომიკურ აგრესიას ახორციელებს მის წინააღმდეგ და ცდილობს თავს მოახვიოს ლიბანის ხელისუფალი სეპარატული შეთანხმებანი, რათა დაიკანონოს თავისი ინტერვენცია

განცხადებაში მხილებულია ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური მანევრები და გადაჭრით დაგმობილია ამერიკელ ემისართა ცდები თავს მოახვიონ ლიბანს ისრაელის დიქტატი. ეამერიკის ელჩი ფილიპ ჰაბიბი ლიბანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს

ლიბანის კომპარტიის პოლიტბიუროს განცხადება

შინგტონი იყო და არის ტელ-ავივის სტრატეგიული მოკავშირე, იმ დანაშაულობათა თანამონაწილე, რომლებსაც ლიბანში სჩადიან. რეიგანის ადმინისტრაციას ეკისრება მთელი პასუხისმგებლობა რეგიონში მოვლენათა საშიში განვითარებისათვის, რადგან სწორედ თეთრი სახლი ცდილობს გამოიყენოს „ლიბანის კოზირი“ კემპ-დევიდის მორიგებაში მთელი რიგი არაბული ქვეყნების ჩასათრევად.

ლიბანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიესალმება ლიბანის პატრიოტული ძალების გმირულ ბრძოლას ოკუპანტების წინააღმდეგ და მოუწოდებს ქვეყნის მოსახლეობას გააძლიეროს შეიარაღებული წინააღმდეგობა ისრაელი აგრესორებისადმი, მიაღწიოს მათ სრულ განდევნას ლიბანიდან.

მოსული ცნობებით, პატრიოტებმა წარმატებული ოპერაციები განახორციელეს ისრაელი ოკუპანტების წინააღმდეგ. წინააღმდეგობის მებრძოლთა ჯგუფმა ცმუცხლი დაუშინა ინტერვენტების ავტოკოლონას ქალაქ ალეის რაიონში გამგავალ ბეირუთ-დამასკოს გზატკეცილზე. ორი ისრაელი ჯარისკაცი მოკლეს, ორი — დაჭრილია. ალ-ჰიამის დასახლებული პუნქტის მახლობლად აფეთქდა ნაღმი, რის შედეგად ისრაელის პატრულის ორი ჯარისკაცი დაიჭრა. ოკუპანტებმა ამ რაიონში გადაიყვანეს დამატებითი ქვეგანაყოფები და გაჩხრიკეს მიდამოები.

კვლავ დაძაბული ვითარებაა ბექაას ველის რაიონში, კერძოდ, ჯუბ-ჯენინსა და აზზი, სადაც ისრაელის მხედრიონი კვლავ ამაგრებს თავის პოზიციებს. ინტერვენტები აქ გზავნიან ახალ სატანკო და ქვითი ჯარის ქვეგანაყოფებს. სამხრეთ ლიბანის ქალაქ საიდაში გაიმართა მასობრივი საპროტესტო დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობდა ორი ათასამდე პალესტინელი ლტოლვილი.

ქენევის მოლაპარაკებაზე

ჟენევა. აქ გაიმართა ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკებაზე წარგზავნილ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციათა პლენარული სხდომა.

ჟენევა. აქ გაიმართა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების შესახებ მოლაპარაკებაზე წარგზავნილ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციათა პლენარული სხდომა.

● მექსიკა

კონფერენცია გაიხსნა

მექსიკა. მექსიკის დედაქალაქში გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „ადამიანის უფლებები, განიარაღება და სიცოცხლის უფლება“, რომელიც ეწყობა მშვიდობის მოფლეო საბჭოს და მექსიკის მშვიდობისათვის, იმპერიალიზმის წინააღმდეგ და ხალხთა სოლიდარობისათვის მებრძოლთა მოძრაობის ინიციატივით. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ 34 სახელმწიფოს, მათ შორის სსრ კავშირისა და მთელი რიგი სხვა სოციალისტური ქვეყნების დელეგაციები.

ფორუმის მონაწილეები განიხილავენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის სხვა ქვეყნების იმპერიალისტური წრეების მიერ გაჩაღებული გამალებული შეიარაღების სხვადასხვა ასპექტს, შედეგებს, რომლებიც მას შეიძლება მოჰყვეს კაცობრიობის ბედისათვის, განიხილავენ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ძალის გამოყენებით გამოწვეულ პრობლემებს, გააანალიზებენ ვითარებას ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში.

● აშშ

„რეიგანომიკის“ ნაყოფი

ხელისუფლების სათავეში ახლანდელი პრეზიდენტის ყოფნის ორი წელი ნამდვილ ტრაგედიად იქცა მილიონობით ამერიკელისათვის. ოფიციალური მონაცემებითაც კი, ქვეყანაში 30 მილიონზე მეტი კაცი „სიღატაკის ოფიციალურ ზღვარზე“ ბევრად ნაკლებ დონეზე ცხოვრობს. უმუშევართა არმიამ „დიდი დეპრესიის“ დროიდან რეკორდულ დონეს მიაღწია და ამჟამად 12 მილიონს შეადგენს. ორ მილიონზე მეტი ამერიკელი უსახლკარო. ადნის საადგილმოძრავო ფოტომონტაჟი თვალნათლივ ცხადყოფს „რეიგანომიკის“ ნაყოფს.

1983 წელი

1983 წელი საქართველოს ქალაქებში, რაიონებსა და სოფლებში თორმეტი ახალი სახალხო დღესასწაულის დაბადების წელი გახდება, მათ შორის აღსანიშნავია ნათესაურებისა და ახლობლების ხსოვნის დღე, რომელიც მთელ რესპუბლიკაში აღინიშნება აპრილის მეორე ნახევარში, ქუჩების დღესასწაული თბილისის პირველი მაისს რაიონში გაიმართება, პირველი ხნულის დღესასწაული წალკაში, რომელიც გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დაწყებას ეძღვნება, დედის დღე — გმირი დედებისადმი მიძღვნილი დღესასწაული ზუგდიდის რაიონში. მშობლიური სოფლის აღდგენა-განახლებას მიეძღვნება ზეიმი, რომელიც 5 აგვისტოს გაიმართება კასპის რაიონის სოფელ გოსტიბეში. იგი ეძღვნება დღეს, როცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით სამი წლის წინათ დასაბამი მიეცა ამ სოფლის აღორძინებას. ქართველი და რუსი ხალხების მრავალსაუკუნოვანმა მეგობრობამ განსაზღვრა სიმღერის დღესასწაულის შინაარსი, რომელიც აგვისტოს შუა რიცხვებში გაიმართება დმანისში.

ახალი დღესასწაულები

ჩვენი ახალი და უკვე ტრადიციად ქცეული დღესასწაულების შესახებ, იმაზე თუ რას ან ვისს ეძღვნება ისინი, რომელი წლიდან, სად და როდის ეწყობა, მოგვითხრობს კალენდარი-ცნობარი „სახალხო დღესასწაულები საბჭოთა საქართველოში“. ეს ახალი წესჩვეულებებისა და რიტუალების პროპაგანდისა და დანერგვის რესპუბლიკური კომისიის მიერ მომზადებული მეორე გამოცემა გამოუშვა გამომცემლობა „ხელოვნებამ“.

კალენდარი-ცნობარი შეიცავს მონაცემებს 144 სახალხო დღესასწაულის შესახებ, რომელთა შორისაა რესპუბლიკური, რეგიონალური, საქალაქო, რაიონული და სასოფლო დღესასწაულები. მათი უმრავლესობა ომვა გასული ათწლეულის მეორე ნახევარში, მას შემდეგ, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ცნობილი დადგენილება „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“. ეს დღესასწაულები, რომლებიც ეძღვნება უკანასკნელი დროის ყველაზე დიდმნიშვნელოვან მოვლენებს, წარსულის გამოჩენილ ქართველ პოეტებსა და მწერლებს, მეცნიერებსა და საზოგადო მოღვაწეებს, ჩვენს სახელოვან თანამედროვეებს, კიდევ უფრო მკვიდრდება რესპუბლიკის ცხოვრებაში.

დიდმა ინტერესმა, რომლითაც შარშან ჩვენი საზოგადოებრიობა შეხვდა სახალხო დღესასწაულების პირველი კალენდრის გამოცემას, განსაზღვრა მისი მეორე გამოცემის ტირაჟის ერთიანუთად გადიდება. თავისი წინამორბედისაგან განსხვავებით ეს კალენდარი-ცნობარი ილუსტრირებულია.

„სამეჯლისოს“ კონცერტები

ჩოხატაური. (საკ. კორ.). რაიონის თვითმოქმედ მხატვრულ კოლექტივებს კიდევ ერთი აბალბედა მხატვრული კოლექტივი „სამეჯლისო“ შეემატა. თითქმის ერთი წელია, რაც ეს ახალგაზრდული კოლექტივი შეიქმნა, მაგრამ უკვე რაიონის მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა. ანსამბლი დაკომპლექტებულია რაიონული კულტურის სახლის თანამშრომლებით.

„სამეჯლისომ“ რამდენიმე კონცერტი გამართა რაიონის სოფლებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. მაყურებელი კმაყოფილი დარჩა ანსამბლის მიერ შესრულებული სიმღერებით.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში

მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგები

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით საგაზაფხულო არდადეგები რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში წელს დაიწყება 24 მარტს და გასტანს 31 მარტამდე. მეცადინეობა შეწყდება ოთხშაბათს, 23 მარტს, და განახლდება პარასკევს, 1 აპრილს.

საგაზაფხულო არდადეგების დროისათვის შემუშავებულია მრავალფეროვანი ღონისძიებანი მოსწავლეებისათვის. (საქინფორმი).

სამართალდარღვევა: ვინ აგებს პასუხს?

„ილბალი მქონია, — გაიფიქრა მომავალმა მგზავრმა შ.-მ. როდესაც უცნობ ადამიანს, რომელმაც მას რკინიგზის ბილეთის შოვნაში დახმარება აღუთქვა, ფული გადასცა. აფერისტმა მას თავი მილიციის თანამშრომლად გააცნო.

დაკავების შემდეგ აღმოჩნდა რომ იგი ყოფილა 1959 წელს დაბადებული, თბილისში, კომუნისტური შრომის ქუჩაზე, № 82 სახლში მცხოვრები ავთანდილ დურმიშხანის ძე კუკანია. 23 წლის კუკანია საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას არ ეწეოდა. ეს უკვე ქალაქის ლენინის რაიონის მინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკთა უყურადღებობის ბრალია, რომლებმაც დროზე ვერ შენიშნეს უსაქმური.

გუდაუთის რაიონის სოფელ აბგარხუკში ღამით გაქურდეს რაკოოკავშირის № 61 მაღაზია. ბოროტმოქმედს (ამჟამად მიმდინარეობს მისი ძებნა) დიდი გამბედაობა არ დასჭირვებია; მაღაზიის არავინ იცავდა. მთვრალ დარაჯს შინ ეძინა.

იქნებ „ცეკავშირის“ გამგეობამ ჯეროვანი დასკვნა გამოიტანოს ამ საგანგებო შემთხვევიდან?

სამტრედიის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლებმა დატაცებისათვის ამხილეს სოფელ ახალსოფლის მაღაზიის გამგე ა. შ. ბიგილეიშვილი და ამავე მაღაზიის გამყიდველი ლ. დ. ჩიმაკაძე. წინასწარი გამოძიებით მათ მიითვისეს 2200 მანეთის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი. ამასთან ერთად მაღაზიაში აღმოაჩინეს მათ მიერ გადამალული დეფიციტური იმპორტული საქონელი.

კითხვა „ცეკავშირის“ გამგეობას: ამ მაღაზიაში უკანასკნელად როდის მოეწყო ინვენტარიზაცია?

(საქინფორმი).

საქართველოს სსრ საგანმანათლებლო დარგებიდან

პარაზიტი, ხულიგანი...

ხულიგნობის, ავაკაცობის, ლოთობის, პარაზიტული ცხოვრების ტრფიალია სერგო ასატურიანი, იგი ოცდაათ წელს გადაცილებული კაცია, მაგრამ უკვე ოთხჯერ არის ნასამართლები სხვადასხვა დანაშაულისათვის.

ს. ასატურიანი უკანასკნელი პატიმრობიდან 1981 წელს გაათავა სუფლეს და ერთი წლის ვადით ადმინისტრაციული ზედამხედველობა დაუნიშნეს, მაგრამ მაინც ჭკუა ვერ ისწავლა, ბოროტად აღიარეგდა ადმინისტრაციული დებულებით გათვალისწინებული წესების მოთხოვნას, რამდენჯერმე გააფრთხილეს კიდეც — ჩაბმულიყო საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, მაგრამ რომ იტყვიან, შეაყარე კედელს ცერცვი. ჩვეულებრივ იმ დღესაც მაგრად გამოთვრა ს. ასატურიანი და ღამის თერმეტ საათზე შინ მიუვარდა თავის ყოფილ მეუღლეს, აგინა, სცემა და მეზობლებმა ძლივს გამოგლიჯეს ხელიდან უმწეო ქალი გათავხედებულ ხულიგანს...

გავიდა ხანი, ს. ასატურიანი თავისას არ იშლიდა და პარაზიტულ ცხოვრებას თავს არ ანებებდა. ერთ ღამეს მთვრალი გლდანის მასივში მესამე მიკრორაიონის 72 კორპუსში მიადგა მისთვის სახით ნაცნობ ქალს ლარისა პეტროსოვას, რომელთანაც სტუმრად იყო უშანგი ივანეს ძე შერმანავიანი. გამოიხმო ისინი გარეთ, აგინა მათ და სცემა. ლ. პეტროსოვას მიაყენა სხეულის მსუბუქი დაზიანება. წვიან-კივილსა და ხმაურზე გამოვიდნენ მეზობლები, ისინი ცდილობდნენ ს. ასატურიანის დაწყნარებას, მაგრამ ამაოდ... ბოლოს და ბოლოს, მილიციის მუშაკებმა პარაზიტისა და ხულიგნის თარეშს წერტილი დაუსვეს.

ქ. თბილისის გლდანის რაიონის სახალხო სასამართლომ გაასამართლა სერგო მინასის ძე ასატურიანი და ხუთი წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

ბ. ახალაძე.

ჭადრაკი

ანგარიშია 2:1

ლვოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). მოჭადრაკე ქალთა — საერთაშორისო პირველობის პრეტენდენტების — გაფრინდაშვილ-ლევიტინას მეოთხედფინალური მატჩის მესამე პარტიაში, რომელშიც თეორიებით მსოფლიო ექსჩემპიონი თამაშობდა, ლენინგრადელმა პირველად მიმართა ნიმცოვიჩის დაცვას.

ამ პოპულარულ ტენიუტს მთელი მონოგრაფიები მიეძღვნა, ამიტომ გაფრინდაშვილმა ფსიქოლოგიურად სავსებით გასაგები მოსაზრებით მიმართა ნაკლებად ცნობილ გაგრძელებას. ერთხანს დაფაზე დაახლოებით თანაბარი პოზიცია იყო, მაგრამ შემდეგ ქართველმა დიდოსტატმა, რომელიც ამჯერად ყურადღებით, ზუსტად თამაშობდა, უპირატესობა მოიპოვა. შუა თამაშში დიდი შეზლამეობლის შემდეგ თეორებმა მოიგეს პაიკი. გაიცვალა ფიგურების დიდი ნაწილი. თამაში გადავიდა მსუბუქი ფიგურების ენდშპილში, სადაც გაფრინდაშვილს მხედარი და 5 პაიკი აქვს, შაგებს კი კუ და 4 პაიკი. შექმნილ დაბოლოებაში დიდი მნიშვნელობა აქვს თეორი მეფის ფრიად აქტიურ პოზიციასაც.

მესამე პარტია:

გაფრინდაშვილი — ლევიტინა

ნიმცოვიჩის დაცვა

1. d4 ∅f6 2. c4 e6 3. ∅c3 ♗b4 4. ∅f3 c5 5. g3 b6 6. ♗g2 ♗b7 7. 0-0 cd 8. ♕×d4 ∅c6 9. ♕d3 0-0 10. ♖d1 ♘c8 11. b3 d5 12. ♗b2 dc 13. ♕×c4 ♕e7 14. a3 ♗×c3 15. ♕×c3 ♖fd8 16. ♖×d8 ♕×d8 17. ♕e1 ∅a5 18. ♖d1 ♕e7 19. ♖d3 ♗a6 20. ♘c3 ♖×c3 21. ♕×c3 ♕c5 22. ♕×c5 bc 23. ∅d2 ∅d5 24. e4 ∅b6 25. ♗c3 ∅c6 26. ♗f1 ♗b7 27. f4 ∅d4 28. ♗d3 f5 29. ♗×d4 fe 30. ♗×e4 ♗×e4 31. ♗×c5 ♗d5 32. ♗×b6 ab 33. ∅gf2 ∅gf7 34. ∅ge3 ∅ge7 35. ∅c4 b5 36. ∅d2 ∅gd6 37. ∅gd4 h6 38. h4 ∅gc6 39. ∅ge5 ∅gc5 40. ∅e4+ ∅gc6. ამ მდგომარეობაში პარტია გადაიდო. სვლა ჩაიწერა გაფრინდაშვილმა. ბუშინ ი. ლევიტინა თამაშის განუახლებლად დასვლამდე. ახლა ანგარიშია 2:1 ლევიტინას სასარგებლოდ. რეგლამენტით დღეს მეოთხე პარტია უნდა გაიმართოს.

● ●

ბელგრადში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირი. უნგრელმა ჟუჟა ვერეციპეტრონიმა 6 პარტია მოიგო, 5 ყაიმით დაამთავრა და I ადგილი მოიპოვა. მაია ჩიბურდანიძე II ადგილზე გამოვიდა — 5 მოგება და 6 ყაიმი.

დ. ე. ენუქიძე



გარდაიცვალა ამაგდარი პედაგოგი, მეცნიერი, 1927 წლიდან სკკპ წევრი, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მსოფლიო ისტორიის კათედრის გამგე, უმაღლესი სკოლის დამსახურებული მოძღვარი, პროფესორი დავით ერმალოზის ძე ენუქიძე.

დ. ენუქიძე დაიბადა 1903 წელს ვანის რაიონის სოფელ გოროში. ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტისა და მოსკოვის წითელი პროფესურის დამთავრების შემდეგ მან განვლო ცხოვრებისა და შრომის სახელოვანი გზა.

1932-1934 წლებში დ. ენუქიძე დიპლომატიურ სამუშაოზე იყო თურქეთში, 1938-1943 წლებში მუშაობდა ალმა-ათის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯერ პოლიტეკონომიის კათედრის გამგედ, შემდეგ პროორეტორად სასწავლო დარგში, ყაზახეთის კომუნისტური პარტიის ალმა-ათის საოლქო კომიტეტის მდივნად, 1943-1946 წლებში — მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორის მოადგილედ. წლების განმავლობაში მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და რუსპუბლიკის უმაღლეს პარტიულ სკოლაში, სხვადასხვა დროს იყო საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა რწმუნებული.

1964 წლიდან გარდაცვალებამდე დ. ენუქიძე მუშაობდა თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში მსოფლიო ისტორიის კათედრაზე, ბოლო ათი წელი კი ამავე კათედრის გამგედ. სხვადასხვა დროს არჩეული იყო თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

პროფესორი დ. ენუქიძე საზოგადოებრივი მუშაობის პარალელურად პედაგოგიურ და მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა. მის კალამს ეკუთვნის 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

შესანიშნავი მეცნიერის, უმფროსი პედაგოგის, პრინციპული კომუნისტის დ. ენუქიძის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგებისა და ამხანაგების გულში.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო; ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი; საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“.

● გფრ

მოლაპარაკება დაიწყო

ბონი. აქ დაიწყო ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის, ქრისტიანულ-სოციალური კავშირისა და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ლიდერების — ჰ. კოლის, ფ. — ი. შტრაუსისა და ჰ. — დ. გენშერის მოლაპარაკება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის მმართველი კოალიციის ჩამოყალიბების შესახებ. პრინციპული შეთანხმება ამ პარტიების ხელმძღვანელებს შორის იმის თაობაზე, რომ განაგრძონ კოალიციური თანამშრომლობა, მიღწეული იყო ჯერ კიდევ 6 მარტის პარლამენტის არჩევნების წინ.

როგორც ადგილობრივი პრესა აღნიშნავს, მხარეებს აქვთ სერიოზული უთანხმოებანი ეკონომიკური პოლიტიკის პერსპექტივების, საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტის, კერძოდ, განვითარებად ქვეყნებთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის თაობაზე.

ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი—ქრისტიანული-სოციალური კავშირის ლიდერები მხარს უჭერენ უფრო მკაცრ კურსს მასობრივი დემონსტრაციების მონაწილეთა მიმართ, დასავლეთ გერმანიის მოქალაქეთა დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებების შემდგომ შევიწროებას, დიდი კაპიტალისა და მრეწველებისათვის კიდევ უფრო მეტი შეღავათების მიცემას.

„ლიბანი“ ოლიმპიადაზე

ბეირუთი. ლიბანელ ტენისისტთა ნაკრებმა ბოლოს ადგილი დაიკავა ბეირუთში ჩატარებულ ოლიმპიადაზე. ლიბანელებს ოლიმპიადაზე ერთ-ერთ ადგილზე ასეთ ფინიშამდე ჯერ არ ყოფილა. ბოლო ადგილზე ასევე ბულგარეთის ნაკრებმა ამოიღო ფეხი. ბულგარეთის ნაკრებს